პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

წელიწადი მეორე

კომუნისტი

ს. კ. პ.
ცენტრალურ და თბილისის
კომიტეტის
და სრ. საქ. მ., გ. წ.-არ. და მატრ.
დეპ. საბ.
ცაკის ორგანო.

რედაქცია: თბილისი, კრუზენ. ქ. № 4. მე 3 სართული

მთავარი კანტორა: თბილისი, რუსთაველის პრ. № 24 მე 2 სართული ტელეფ. 5—43

რედაქციაში საქმისთვის მოლაპარაკება შეიძლება ყოველდღე გარდა კვირა-უქმე დღეებისა 2-დან 3 საათამდე.

ტელეფ. ნომრები: რედაქტორის 14—76, მდივნის—19

ხელის მოწერის თვიური ფასი: საქართველოში 100.000 მ. ქ. ბ. სხვა საბჭოთა რესპუბლიკებში 625 მ. 1922 წ. ნიშნებით. განცხადება—10 ათ. მ. ნონპარელის სტრიქონი, სამგლოვიარო განცხადება 300 ათ. მ.

დღიური

— ბაქოში გრძელდება ამიერ კავკასიის ესერთა პროცესი.

— ინგლისის მეფის მიერ ირლანდია [illegible] თავისუფლად სახელმწიფოდ.

— ანგორის მთავრობა აცხადებს რომ ქრისტიანები ისეთივე უფლებებით ისარგებლებენ როგორც ოსმალები.

— ლოზანის კონფერენციაზე კერზონის განცხადებაში აღნიშნულია, რომ მოკავშირეები მოითხოვენ სრუტეების თავისუფლებას, როგორც სავაჭრო ისე სამხედრო გემებისათვის.

№ 283 შაბათი, 9 დეკემბერი 1922 წ. ყოველდღიური გაზეთი ფასი 5,000 მან. № 283

ამიერ-კავკასიის ესერების პროცესი

ამა წლის ივლისის და აგვისტოს თვეებში, როგორც ალბად ყველას ახსოვს, მოსკოვში ადგილი ჰქონდა ესერების გრანდიოზულ პროცესს. მაშინ პროლეტარულმა სასამართლომ მთელი მშრომელ მასსების წინაშე გადაშალა ესერების მოღალატური და დანაშაულებრივი მუშაობა მუშათა კლასის მიმართ. ეს იყო არა მარტო იურიდიული გასამართლება საბრალმდებლო სკამზე წამოსკუპებულ ესერების ცენტრალურ კომიტეტის წევრების, არამედ მთელი ესერთა პარტიის პოლიტიკური და მორალური დასამარება და, მაშასადამე, მისი ამიერ კავკასიის ორგანიზაციისაც. მაგრამ ამ უკანასკნელის „საგმირო საქმეების" შესახებ იქ კონკრეტიული მასალა არ ყოფილა წარმოდგენილი, და არც ესერთა პარტიის ადგილობრივი „გმირები" ყოფილან გასამართლებულნი, მაშინ როცა მათი დანაშაული არა ნაკლებია თავიანთ რუსი თანამოძმეებზე. ამიერ-კავკასიის პროლეტარიატის აღშფოთებული სინდისი დიდი ხნით მოითხოვდა ადგილობრივი ესერების „მოღვაწეობის" საჯაროდ მხილებას და მათ კანონიერ დასჯას.

და აი, მათზედაც მიდგა რიგი. პირველ დეკემბერს ბაქოში დაიწყო ამიერ კავკასიის ესერების პროცესი. საბრალმდებლო სკამზე სხედან ამიერ-კავკასიის 35 ესერი და რამდენიმე მოწარქისტი,—ყველა ცნობილი წევრი ამ კონტრ-რევოლიუციონურ პარტიისა და მისი პოლიტიკის უშუალო ხელმძღვანელი. პროცესის საგამოძიებლო ნაწილი უკვე დასრულებულია და ამ დღეებში განაჩენიც იქნება გამოტანილი. რა გამოირკვა ბაქოს პროცესზე? ესერების რა დანაშაული იქნა უდავოდ დამტკიცებული? მათი მიზანი, როგორც რუსეთის ესერების, რა თქმა უნდა, იყო და არის საბჭოთა ხელისუფლების დამხობა. ამისათვის ისინი არ თაკილობდნენ არავითარ საშუალებას. მჭიდრო კავშირი ჰქონდათ რუსეთის ესრებთან და მათი საზღვარგარეთელ ე. წ. ადმინისტრატიულ ცენტრთან, რომლისაგან იღებდნენ დირექტივებს, ნივთიერ დახმარებას და ლიტერატურას. ისინი კონტაქტში იყვენ ვრანგელთან და მის აგენტებთან, რათა საერთო ძალღონით მოეხდინათ შეიარაღებული აჯანყება პროლეტარიატის დიკტატურის წინაალმდეგ. ესერები აგრეთვე უკავშირდებოდენ ბანდიტურ ბრბოებს, რომელნიც არბევდნენ მშვიდობიან მოსახლეობას, ამით არევ-დარევა, ანარქია შეჰქონდათ ცხოვრებაში, ძირს უთხრიდნენ მუშების და გლეხების ძალა უფლებას და მის მშვიდობიან აღმშენებლობას.

მაგრამ მათ „სასიქადულო" მუშაობის უთვალავ ფაქტებში, რომელიც პროცესმა მზის სინათლეზე გამოიტანა, განსაკუთრებით იქცევს ყურადღებას რამოდენიმე მომენტი. მათ შორის ჩვენ აღვნიშნავთ ორს. ერთია ბაქოს 26 კომუნარების დახვრეტა. ამ მხეცურ და სამარცხვინო აქტში ბაქოს ესერებს მიუძღვით უდიდესი დანაშაული. მათი ხელი გასვრილია ამ რევოლიუციონერების უმანკო სისხლში, ამ სისხლს ისინი ვერასოდეს ვერ მოიბანენ.

მეორეა ბაქოს სანავთო სამრეწველოებისათვის ცეცხლის წაკიდება.

მათ განზრახვას შეადგენდა როგორც ბაქოს, ისე გროზნოს ნავთის წყაროების განადგურება და ამით მთელი საბჭოთა ფედერაციის სიცოცხლის შეჩერება, მისთვის ლახვარის ჩაცემა. როგორც ვიცით, ამ ჯოჯოხეთური განზრახვის განხორციელება მათ მხოლოდ ნაწილობრივ მოახერხეს. აპრილში ცეცხლი წაუკიდეს ბაქოს ზოგიერთ სანავთო სამრეწველოებს. ამით განადგურებულ სანავთო წყაროების აღდგენამ დიდძალი საშუალება და შრომა შეიწირა.

აი, რა ვაჟბატონებს ასამართლებს დღეს ბაქოს პროლეტარიატი.

აქ აღსანიშნავია ისიც, რომ მათ პროცესზე თავხედურად უჭერიათ თავი. თუ მოსკოვის პროცესზე ბრალდებულთა ერთმა ჯგუფმა საჯაროდ აღიარა თავისი დანაშაული და ის მონანიების გზაზე შესდგა, ბაქოს ესერები „გმირობას" იჩენენ და მხოლოდ იმაზე ნანობენ, რომ მეტის გაკეთება ვერ შესძლეს „რევოლიუციის და მუშათა კლასის საქმისათვის".

პროლეტარიატი ვალდებულია ეს გაუსწორებელი ხალხი სამაგალითოდ დასაჯოს და მოუსპოს მათ შემდეგში ასეთი დამღუპველი მოქმედების გაგრძელების შესაძლებლობა. არავითარი შებრალება 26 კომუნარის მკვლელებს, მუშათა კლასის ბატონობის ძირის გამთხრელთ, მისი სამეურნეო საფუძვლების ამაფეთქებელთ. ამას კატეგორიულად მოითხოვს რევოლიუციის სასიცოცხლო ინტერესები.

ეროვნული კულტურის უბადრუკი დარაჯები

საკმაოდ მოძველებული მეშჩანური თქმულებით გაზეთი ცხოვრების სარკე უნდა იყოს. ცხოვრების ჯურღმულებში თუ მის ზედა პირზე რა მოვლენასაც არ უნდა ქონდეს ადგილი, გაზეთმა, ვით მგრძნობიარე ფირფიტამ, ყოველივე უნდა აღბეჭდოს თავის ფურცლებზე. ასეთი ყოვლად საცოდავი სიბრძნე გარდუვალ მცნებათ გაუხდია თავისთვის მემარცხ. სოც.-ფედერ. ორგანო „ტრიბუნა"-საც. ჩვენი კუთხის ქვაფენილებზე და ორღობეებში ბევრი შედედებული ჭორი ტრიალებს. საბჭოთა ხელისუფლების მტრებს ჭორიკანობისა და პროვოკაციული ხმების მიმობნევას მეტი არა დარჩენიათ რა: ორი წლის განმავლობაში მხოლოდ ასეთი ჭორების და ასეთი ხმების შხუილი ისმის შოვინისტური კონტრ-რევოლიუციის ბანაკიდან. „ტრიბუნა"-ც დრო გამოშვებით თავის ფურცლებზე აღბეჭდავს ხოლმე ასეთ ხმას მამულიშვილების ჭეშმარიტებისას—ალბათ „ერის და სოციალიზმის" სამსახურად მიაჩნია.

7 დეკ. ნომერში, გაზეთის მოწინავე წერილში საქართველოს უნივერსიტეტის რეორგანიზაციის გამო სხვათა შორის ვკითხულობთ:

„. . . უნდა აღინიშნოს, რომ უნივერსიტეტის ირგვლივ მეტად ცუდი ხმები ვრცელდება საზოგადოებაში, ვითომც უნივერსიტეტის რეორგანიზაცია გულისხმობდეს ქართულ უნივერსიტეტის გაუქმებას, ჩვენი ეროვნული კულტურის დევნას და სხვა და სხვა".

ასეთი, ოლიმპიური სიმშვიდით დაწერილ არაკის ავტორს ალბად ჰგონია, რომ ქართულ უნივერსიტეტს და ქართველობის ეროვნულ კულტურას ემსახურება, როცა უმგვანო ჭორიკანობის და პროვოკაციული ჯირითის თანაზიარი ხდება. თანაზიარი, ვინაიდან მემარცხ. ფედერალისტებს ყოველ შემთხვევაში და ყოველ წუთს სრული შესაძლებლობა აქვთ ხოლმე იყვნენ საბჭოთა მთავრობის პოლიტიკის კურსის რკალში და სწორი ცნობა მიაწოდონ თავიანთ მკითხველებს.

საბჭოთა მთავრობა უნივერსიტეტის რეორგანიზაციას შეუდგა. საბჭოთა სისტემაში მეცნიერების მთავარი კერა ორგანიული ნაწილი უნდა იყოს; საბჭოთა მთავრობა ვერ დაუშვებს და არც დაუშვებს, რომ მეცნიერების ალის მაგიერ შოვინისტურ და რეაქციონურ ხრჩოლვას ჰქონდეს ადგილი უნივერსიტეტში. ამითაა გამოწვეული ცოტა დაგვიანებული რეორგანიზაცია უნივერსიტეტის და გაწმენდა-გაჯანსაღება მისი ხელმძღვანელ და მისი მსმენელთა შემადგენლობისა.

რეორგანიზაცია გულისხმობს მტკიცე, გარკვეულ წესდების შემოღებას: თუ პროფესორთა კოლეგია, როგორც ყველგან საბჭოთა რესპუბლიკებში, ჩვენშიაც აყენებს საუნივერსიტეტო წესდებას, აგებულს სრულს ავტონომიაზე და დამოუკიდებლობაზე როგორც საბჭოთა მთავრობისაგან (დამოუკიდებლობა მხოლოდ ერთს მუხლშია უარყოფილი: საბჭოთა მთავრობა აწვდის უნივერსიტეტს ყოველივე მატერიალურ სახსარს), ისე სტუდენტობისაგან, საბჭოთა მთავრობის პროექტით უნივერსიტეტის უსაზღვრო ავტონომია უარყოფილია. მეტი არაფერი.

ვინც დახარბებულია რეაქციაზე, ის რასაკვირველია ამის გამოც მოხსნის თავს ჭორის გუდას და ქართულ უნივერსიტეტის გაუქმებაზე და „ჩვენი ეროვნული კულტურის" დევნაზე იწყებს სისინს. ამაოდ. საქართველოს მუშების და გლეხების მთავრობა რომ ვერასოდეს ვერ იქნება ქართული კულტურის მოწინააღმდეგე და მტერი, რომ ის ქართულ უნივერსიტეტს არ გააუქმებს—ამის მტკიცება არავისათვის საჭირო არ არის.

უნივერსიტეტი, ჭეშმარიტი მეცნიერების ციხე და ლაბორატორია, უნივერსიტეტი, როგორც საჩქოლე იდეოლოგიურ ფრონტზე მებრძოლ თაობის, სალი ეროვნული კულტურის არსენალი ჩვენთვის, საქართველოს მშრომელი ხალხის მსახურთათვის მუდამ იქნება საგანი მზრუნველობისა და სიყვარულისა. და ამიტომაც საბჭოთა ხელისუფლება ვერ მოითმენს უნივერსიტეტის გადაქცევას რეაქციის ბუნაგათ, ჩამოაცილებს ყველა მათ, ვინც ზევიდან თუ ქვევიდან ცდილობს მის გამოყენებას მშრომლებთან საბრძოლველ იარაღათ. ნუ თუ ეს არის ეროვნული კულტურის დევნა, ტრიბუნისტებო?

ზოგი ხვევნა კოცნის პოეზიის ქურუმები ლამობენ პოეტის იმუნიტეტით ისარგებლონ და საჯაროთ მახვილი ლესონ საბჭოთა წესწყობილების დასამხობათ. ვერ მოითმენს და არც მოითმენს საბჭოთა ხელისუფლება ასეთი, ჩხუბის გუნებაზე მყოფ, მესტვირეების „შეუვალობას".

მით უფრო არ მოითმენს და არც უნდა მოითმინოს გრიშაშვილ-პროფესორების და სტუდენტების ფრთა გაშლილ პარპაშობას.

ცოტა არიან ასეთები? მით უკეთესი. ყოველ შემთხვევაში მათი შერჩევა და გაწმენდა ფაქტის საკითხია და არა პრინციპის, მით უმეტეს—არა ეროვნული კულტურის, უნივერსიტეტის გადარაზვის და სხვა ასეთი ხაზლაპრო საშინელების.

ნუ თუ ტრიბუნისტების ტვინისათვის ასე ძნელი გადასახარშავი და მოსანელებელია ეს მარტივზე უმარტივესი ჭეშმარიტება? რა პირით კისრულობთ ეროვნულ კულტურის დარაჯობას?

მ. თ.

რადიო-დეპეშები

ლოზანის კონფერენცია

კონფერენციისადმი ინტერესი სუსტდება.

ჰანოვერი, 7 დეკ. პარიზში ლოზანას კონფერენციისადმი ინტერესი თანდათანობით სუსტდება და განსაკუთრებულ ყურადღებას იქცევს ლონდონის მომავალი თათბირი. ფიქრობენ, რომ პუანკარეს კაბინეტის მდგომარეობა დამოკიდებულია ამ თათბირის შედეგებზე.

ამერიკის პოზიცია.

ჰანოვერი, 7 დეკემბ. ლოზანიდან იუწყებიან, რომ შეერთებულ შტატებმა სავსებით გაიზიარეს ინგლისის თვალსაზრისი სრუტეების საკითხში და მოითხოვენ მის თავისუფლებას, როგორც სავაჭრო ისე სამხედრო გემებისათვის.

ლონდონი. 7 დეკ. დღის პირველ კომისიის სხდომაზე ამერიკის წარმომადგენელმა ჩაილდმა გააკეთა მთელი რიგი სასენსაციო განცხადებებისა. ლორდ კერზონმა გახსნა სხდომა, რომელიც ორი საათი გაგრძელდა, სრუტეების მიმართ მოკავშირეთა გეგმების განმარტებით. ამ გეგმებში შედის ნეიტრალურ ზონის დაწესება და საერთაშორისო საკონტროლო კომისიის დაარსება, რომელშიაც შევლენ საფრანგეთის, ინგლისის, ამერიკის, იაპონიის, რუმინიის, ბულგარეთის, საბერძნეთის, ოსმალეთის და რუსეთის წარმომადგენელნი. მოკავშირეთა წინადადება გულისხმობს აგრეთვე სამხედრო და სავაჭრო გემების სრუტეებში თავისუფალ მიმოსვლას, როგორც მშვიდობიანობის, ისე ომის დროს, მხოლოდ ტონაჟის განსაზღვრით იმ შემთხვევაში, თუ გემები ხანგრძლივად იქნებიან შავ ზღვაზე. ამერიკის წარმომადგენელმა ჩაილდმა განაცხადა, რომ ამერიკა მოითხოვს სრუტეების სრულ თავისუფლებას, ვინაიდან ამერიკას საშუალება უნდა ქონდეს გაგზავნოს თავისი გემები ყველგან, სადაც ამერიკის ქვეშევრდომები იმყოფებიან. აღძრულ საკითხების ცოტა ხნის განხილვის შემდეგ, სხდომა შეწყვეტილ იქნა პარასკევამდე.

ბორდო, 7 დეკემბ. გაზეთები აღნიშნავენ, რომ ლოზანაში ნერვიული მდგომარეობა შესუსტდა.

— „ჟურნალ დე დება" სწერს: „ოსმალეთს ეძლევა მოულოდნელი შემთხვევა განამტკიცოს თავისი დამოუკიდებლობა და ხელსაყრელად დაამთავროს ომი. თუ ეს მას სურს, შეიძლება მას დამატებითი გარანტიები მიეცეს სტამბოლის დაცვის უზრუნველყოფის შესახებ, მაგრამ ამას მეტს ის ვერაფერს ვერ მიიღებს.

რვა დეკემბერში სრუტეების საკითხის განსახილველად სამხედრო ტერიტორიალურ კომისიის მოსალოდნელ სხდომის გამო იმართება კერძო ხასიათის გაცხოველებული თათბირები.

ამ ჟამად მთავარი ყურადღება მიქცეული არის კაპიტულიაციის საკითხზე. ექვს დეკემბერს, დილით გაიმართა ქვე-კომისიის სხდომა, რომელსაც მინდობილი აქვს რეჟიმის გამორკვევა, რომელმაც უნდა შესცვალოს კაპიტულიაციის სისტემა.

საფინანსო და სამხედრო ტყვეების გაცვლა-გამოცვლის ქვეკომისიები განაგრძობენ მუშაობას.

პარიზი, 7 დეკემბ. გაზეთები იუწყებიან, რომ იტალიას და მოკავშირეთა შორის არსებობს სრული თანხმობა ოსმალეთთან მოლაპარაკების საკითხის შესახებ.

— ისმეთ-ფაშა მთელი დღის განმავლობაში იღებდა მნახველებს. დიდ მნიშვნელობას აძლევენ 8 დეკემბრის სხდომას, რომელზედაც ოსმალები გამოაშკარავებენ თავიანთ თვალსაზრისს სრუტეების საკითხში.

— ამერიკის ზედამხედველს თათბირი ქონდა ისმეთ-ფაშასთან. მანამდე ორივენი თათბირობდნენ ბარერთან.

— ნავთსადგურებში და რკინის გზებზე რეჟიმის დამწესებელი ქვეკომისიამ მიაღწია შეთანხმებას ოსმალეთთან.

— ამერიკის დელეგაციამ პროტესტი განაცხადა ოსმალეთის განზრახვის წინაალმდეგ სტამბოლში ბერძნების მოსახლეობის გაცვლის შესახებ.

კერზონის განცხადება.

ჰანოვერი 7 დეკ. ლორდ კერზონმა გადასცა ლოზანას კონფერენციას მოკავშირეთა წინადადებანი სრუტეებში გემების მიმოსვლის შესახებ. რუსეთს არ მიეცემა უპირატესობანი ამ საკითხში. მოკავშირეები მოითხოვენ სრუტეებში გავლის სრულ თავისუფლებას, როგორც სავაჭრო, ისე სამხედრო გემებისათვის. მოკავშირეების აზრით, უნდა შესდგეს დემობილიზაციის კომისია, რომელშიაც შევლენ შავი ზღვის განაპირა სახელმწიფოების, ინგლისის, იტალიის, საბერძნეთის და შეერთებულ შტატების წარმომადგენელნი ოსმალეთის წარმომადგენლის თავმჯდომარეობით.

ამერიკის მონაწილეობა.

ჰანოვერი. 8 დეკ. შეკითხვის საპასუხოდ სრუტეების საერთაშორისო კომისიაში ამერიკის მონაწილეობის შესახებ, ამერიკის ელჩმა ჩაილდმა განაცხადა, რომ მის მთავრობას ჯერ კიდევ არავითარი გარკვეული გადაწყვეტილება არ მიუღია ამ საკითხის შესახებ.

სტერგიადესის სამართალში მიცემა.

ჰანოვერი 8 დეკ. საბერძნეთის რევკომმა გადასწყვიტა მისცეს სამართალში მცირე აზიის ყოფილი უმაღლესი კომისარი სტერგიადესი.

კროიდონი. 7 დეკემბ. ინგლისის პრესა კომენტარიებს უკეთებს მოკავშირეთა გეგმას სრუტეების შესახებ.

„კვინგ სტანდარტი" ამბობს: „კონფერენციაზე მოკავშირეთა პოზიციას ემჩნევა მთლიანობა და სიმტკიცე სრუტეების საკითხში. მოკავშირეები მზად არიან, რამდენადაც შესაძლებელია ლმობიერად მოეპყრან, ოსმალეთის მოთხოვნილებებს. მათ არავითარ შემთხვევაში არ ამოქმედებთ მტრული განწყობილება რუსეთის მიმართ".

სხვა გაზეთები გამოსთქვამენ სრულ კმაყოფილებას შეერთებული შტატების თვალსაზრისით, რომელიც გამოხატა ლოზანაში ჩაილდმა.

შეერთებული შტატები მოითხოვს, მსოფლიო ვაჭრობისათვის საზღვაო გზებით სარგებლობის თავისუფლებას და მიუღებლად მიაჩნიათ წინადადება სრუტეებში სამხედრო გემების მიმოსვლის აღკრძალვის შესახებ რადგან ისინი წარმოადგენენ არა მარტო ნგრევის, არამედ, მრავალ შემთხვევაში, მშვიდობიანობის დამყარების საშუალებას.

შეერთებულმა შტატებმა განაცხადა, რომ დაუშვებელია რომელიმე ერს, გეოგრაფიულ მდგომარეობის გამო, უფლება ექნეს მოუსპოს ყველა სახელმწიფოებს მათი სავაჭრო უფლება. შეერთებულ შტატებმა აგრეთვე მიუთითა, რომ შავ ზღვაში ყველა ერები დაინტერესებული არიან და, რომ ერთი რომელიმე სახელმწიფოსათვის სრუტეების კონტროლის გადაცემა ეწინააღმდეგება მსოფლიო პოლიტიკას.

ამერიკული გაზეთები ენერგიულად იცავენ შეერთებული შტატების ამ შესწორებებს

ჩაილდის განცხადება

ჰანოვერი. 8 დეკემბ. 6 დეკემბერს ლოზანას კონფერენციის სხდომაზე ამერიკის ელჩმა ჩაილდმა დაასაბუთა ამერიკის მოთხოვნილებანი სრუტეების თავისუფლების შესახებ. ჩაილდმა აღნიშნა, რომ ცალკე განაპირა სახელმწიფოებისათვის საშუალების მიცემა სრუტეების თავისუფლებაში შეუზღუდავი ძალა-უფლების დაპყრობისათვის იქნებოდა პირდაპირი წინააღმდეგობა არა მარტო შეერთებული შტატების პოლიტიკისა, არამედ განაპირა სახელმწიფოების ინტერესების და თვით მთელი მსოფლიოს კეთილდღეობისათვის.

ამერიკის მთავრობა ყოველ შემთხვევაში არასოდეს არ დაუშვებს, რომ სამხედრო გემებს ადგილი არ ექნეს სავაჭრო ურთიერთობის ინტერესების დასაცავად.

პრემიერების თათბირის გამო

პარიზი. 8 დეკ. ფენისი და ჟასპარი გაემგზავრენ ლონდონში.

ჰანოვერი 7 დეკ. ლონდონში დიდ ყურადღებას აქცევენ ამერიკის ელჩების გაუტონის (ბერლინი) და ფლეტჩერის (ბრიუსელი) ჩამოსვლას და ფიქრობენ, რომ ისინი ან ყველა ერთად, ან ერთი რომელიმე მათგანი იქნება ლონდონის კონფერენციის შემადგენლობაში, ისე როგორც ამერიკის წარმომადგენელი ლოზანაში.

— იტყობინებიან, რომ გაუტონს, ბერლინიდან გამგზავრების წინ, ჰქონდა თათბირი რეიხსკანცლერ კუნოსთან და ინგლისის ელჩთან და ბერნოსთან. ეს უკანასკნელი თათბირის შემდეგ გაემგზავრა ლონდონში, მაშინ, როდესაც გაუტონი სენატორ მაკ-კორმიკთან ერთად გაემგზავრა პარიზში პოლიტიკურ მოლაპარაკებისათვის.

ბორდო. 8 დეკ პუანკარე ლასტრის და პერეტის თანხლებით 8 დეკემბერს გაემგზავრენ ლონდონში.

მუსოლინის მოელიან პარიზში რვა დეკემბერს. ის არ დარჩება პარიზში და პირდაპირ გაემგზავრება ლონდონს.

ახლო აღმოსავლეთში

ოსმალეთში.

ბორდო, 8 დეკ. ანგორის მთავრობამ განუცხადა ოსმალეთის ქრისტიანების თემთა წარმომადგენლებს, რომ ყველა ქრისტიანები ისეთივე უფლებებით ისარგებლებენ, როგორითაც ოსმალოები სარგებლობენ. მთავრობამ დაარწმუნა ქრისტიანები იმაში, რომ მათ მშვიდათ და უშიშრად შეუძლიათ ოსმალეთში დარჩენა. თემების წარმომადგენლებმა განაცხადეს, რომ ისინი სავსებით დაკმაყოფილებულნი არიან მთავრობის განცხადებით.

მუსტაფა ქემალის ხსოვნისათვის

რომი. 8 დეკემბ. ანგორაში მოეწყო კომიტეტი მუსტაფა-ქემალისათვის ძეგლის ასაგებად.

ირლანდიის სახელმწიფო

ბორდო 8 დეკემბ. ინგლისის მეფემ ხელი მოაწერა დეკლარაციაზე, რომელიც თავისუფალ სახელმწიფოდ აღიარებს ირლანდიას სატახტო ქალაქით დუბლინით. ინგლისის წარმომადგენელი ხილერი, რომელიც დანიშნულია ირლანდიის გენერალ-გუბერნატორად, უკვე შეუდგა თავის მოვალეობის ასრულებას.

რომი. 8 დეკემბერი. დე ვალერამ მოათავსა გაზეთში წერილი, რომელშიაც მოითხოვს პლებისციტს ირლანდიისათვის მართვა-გამგეობის ფორმის თავისუფალ არჩევნებისათვის.

გერმანიის ამბები

პასაუში მომხდარ ინციდენტის შესახებ.

ბორდო. 8 დეკ. აქ მიღებულ ბერლინის გაზეთების მიხედვით არსებობს ისეთი შთაბეჭდილება, რომ გერმანიის მმართველი წრეები დაბრკოლებას ხედავენ ბავარიის შემრიგებელ პოზიციაში პასაუში მომხდარ ინციდენტისადმი. შესაძლებელია, რომ კანცლერი კუნო პირადათ გადასცემს თავის მწუხარებას საფრანგეთის მთავრობას ამ ინციდენტის გამო.

ბორდო. 8 დეკ. „ტანის" ცნობებით, გერმანიის სახელმწიფოთა პრემიერები არ იწონებენ ბავარიის პოზიციას, მაგრამ როგორც სჩანს, ისინი არ არიან თანახმა მომხდარ ინციდენტის ანაზღაურებისა.

პასუხი ელჩთა კონფერენციის ნოტაზე.

პარიზი. 8 დეკემბერი. პასუხი ელჩთა კონფერენციის ნოტაზე პასაუში მომხდარ ინციდენტის შესახებ ჯერ კიდევ არ შეუმუშავებია გერმანიის მთავრობას. პარიზის გაზეთების ცნობებით, გერმანიამ გადასწყვიტა დააკმაყოფილოს ელჩთა კონფერენცია მომხდარ ინციდენტის გამო მწუხარების გამოთქმით.

სხვადასხვა ამბები

იტალია და რუსეთი.

რომი. 8 დეკემბ. რომიდან მიღებულ ცნობის თანახმად რუსეთის ეკონომიურ ორგანიზაციებთან შეთანხმების გამო და კრასინთან თათბირის შემდეგ, მოსკოვში მიემგზავრებიან საგარეო ვაჭრობის მილანის სავაჭრო სამრეწველო საზოგადოების თავმჯდომარე და მთავარი დირექტორი.

ისპანიის ახალი კაბინეტი.

ბორდო. 8 დეკემბ. შესდგა ისპანიის ახალი კაბინეტი შემდეგის შემადგენლობით: პრემიერ მინისტრი—მარკიზ ალჰუსემა, შინაგან საქმეთა მინისტრი—გერცოგი ალმოდავარი, ფინანსთა მინისტრი—პედრეგალი, იუსტიციის მინისტრი—რომანო-მესი, სამხედრო მინისტრი—ცამოტა, საზღვაო მინისტრი—სილნველა.

პილსუდსკის გადადგომის გამო.

ბორდო. 8 დეკემბ. რადგან პილსუდსკი საბოლოოდ სტოვებს პოლონეთის რესპუბლიკის პრეზიდენტის პოსტს, მან მიიღო დიპლომატიური კორპუსი, რომელმაც გამოსამშვიდობებელი სალამი უძღვნა მას.

კიო-ჩაო.

ბორდო. 8 დეკემბერი. ჩინეთსა და იაპონიას შორის მომხდარ შეთანხმების თანახმად 10 დეკემბერს კიოჩაო გადაეცემა ჩინეთს.

ამიერ კავკასიის ფედერაციაში

აზერბეჯანი

ესერების პროცესი.

ბაქო. 7 დეკ, ამიერ-კავკასიის ესერების პროცესის მნიშვნელოვანი სხდომა იყო მე-6-ე დღე, როდესაც ირჩეოდა საკითხი ნავთის სამრეწველოების ცეცხლის გაჩენის შესახებ.

აპრილის პირველ რიცხვებში ესერებმა რაც საშუალებით გაიგეს მოსალოდნელ დაპატიმრების შესახებ, ზაიცევი შეხვდა საორგანიზაციო ბიუროს წევრს სამროდოვს, რომელმაც განუცხადა, რომ მოსალოდნელ დაპატიმრების გამო საჭიროა ბალახანის სამრეწველოების ცეცხლის გაჩენა. ზაიცევმა გადასცა ეს ამბავი პლეტნიოვს, რომელმაც თავის მხრივ აცნობა ეს მუშა გოლომაზოვს, რომელმაც 2 დღის შემდეგ 4 აპრილს, გაუჩინა ცეცხლი ნავთის შადრევანს რომანაში. დილით, 10 აპრილს, გაჩნდა ცეცხლი ბალახანაში, საღამოზე სურახანაში, 16 აპრილს ბიბიეიბათში.

კვლევა-ძიებამ დაამტკიცა. რომ ცეცხლი განძრახ გაჩენილი იყო.

ზარალი უდრიდა 803.000 მ. ოქროთი. ბრალდებულნი გოლომაზოვი, პლეცნიაკი და ზაიცევი გამოტყდნენ. სამროდოვა კი კატეგორიულ უარს აცხადებს, ზაიცევთან მოლაპარაკებაზე ცეცხლის გაჩენის შესახებ. საორგანიზაციო ბიუროს დანარჩენმა წევრებმა ფონშტეინმა და სნომინმა განაცხადეს, რომ ასეთი დადგენილება საორგანიზაციო ბიუროს არ გამოუტანია.

სომხეთი

ამნისტია.

ერივანი. 7 დეკ. სომხეთის ცაკის დეკრეტის თანახმად, ამნისტიის შესახებ, სომხეთის „სოვეტიზაციის" 2 წლის თავზე, შედგენილია კომისია პროკურორის ხელმძღვანელობით, რომლის განკარგულებით განთავისუფლებულია 89 პატიმარი.

ბამბის კომპანია.

ბამბის კომპანია. დაწყებულია საორგანიზაციო მუშაობა 1923 წ. ბამბის კომპანიის ჩასატარებლად. ამ მიზნით მოსკოვში 40.000 ფ. ბამბის თესლის შესაძენად გაემგზავრა მიწათ მოქმედების კომისარი ამხ. ოგანჯენიანი. განზრახულია მომავალ წელს 5.000 დეს. ბამბის დათესვა.

საქართველო.

აფხაზეთი.

სოხუმი. თამბაქოს გაყიდვა საზღვარ-გარედ. აფხაზეთის პლანტატორების კავშირმა სტამბოლის ერთ-ერთ ფირმას მიყიდა 75.000 ფუთი თამბაქო

გაყიდულ თამბაქოს ფასის ანგარიშში სტამბოლიდან მომავალ კვირას მოელიან საქონლის პირველ პარტიას იმედია, რომ აღნიშნულ რაოდენობის თამბაქოს რეალიზაცია ხელს შეუწყობს ადგილობრივ მეთამბაქოების აღდგენას.

ფქვილი ოსმალეთიდან. ტრაპიზონიდან ჩამოვიდა ფქვილით დატვირთული ორი გემი „ლეზპოტან" და „სელამეტ."

აჭარისტანი

საბჭოთა ყრილობა

აჭარისტანის საბჭოთა ყრილობამ, მოისმინა რა მოხსენება ამხ. გეგეჭკორის ს. ს. რესპუბლიკების კავშირის შესახებ, მხურვალეთ შეეგება ძმურ კავშირის განმტკიცებას საბჭოთა რესპუბლიკების შორის. ამ კავშირში შევლენ ამიერ კავკასიის რესპუბლიკები, იმ პირობით, რომ ხსენებულ რესპუბლიკების მშრომელი ხალხიც შეჰქმნის ისეთსავე კავშირს, როგორიც იქნება მთელი ფედერაციის მასშტაბით. მხოლოდ ყველა ძალთა გაერთიანებით არის შესაძლებელი ჩვენი მრეწველობის და სასოფლო-მეურნეობის განვითარება და მით მუშათა და გლეხთა მდგომარეობის გაუმჯობესება, ყველა საბჭ. რესპ. სამხედრო და პოლიტიკური კავშირის გაძლიერება შექმნის იმ ძლიერ მუშტს, რომელიც გაუმკლავდება საერთაშორისო ბურჟუაზიას. მხოლოდ საბჭოთა რესპუბლიკების ასეთი კავშირი გახდება მსოფლიო რევოლიუციის საიმედო კერათ და ის შეგვაძლებინებს აღმოსავლეთის აზიულ მილიონიან მშრომელთა და დაჩაგრულთა განთავისუფლებას, ევროპის ბურჟუაზიის ბრჭყალებიდან.

რომ პრაქტიკულად კავშირში გატარებულ იქნეს, აჭარისტანის საბჭოთა ყრილობა საჭიროდ სთვლის შესაფერი რეორგანიზაცია მოხდეს კომისარიატებისა შემდეგი სახით: შრომის კომისარიატი, სასურთკომი, სახკომფინი, მუშათა და გლეხთა ინსპექცია გაუქმებულ იქმნეს და შეიცვალონ ან რწმუნებულებით ან და უბრალო განყოფილებით, რომლის გამგეების კანდიდატურას ადგენს ადგილობრივი ცენტრალმასკომი ცენტრში დასამტკიცებლად. რაც შეეხება შემდეგ კომისარიატებს: შინაგან საქმეთა, მიწადმოქმედებისას, იუსტიციისას, ჯანმრთელობისას, განათლებისას და სოციალურ უზრუნველყოფისას, ყველა ეს კომისარიატები

იარსებებენ. ამასთანავე შეტანილ იქნება ამიერ-კავკასიის ფედერაციის კონსტიტუციაში აჭარისტანის ავტონომია საერთო მასშტაბით. აღნიშნულ კომისარიატების დარჩენა ცენტრ აღმასკომისა და სახკომსაბჭოს გამგებლობაში მისცემს ამ უკანასკნელს თვით-მოქმედების სრულ შესაძლებლობას და ფართო ეროვნული კულტურის განვითარებისას.

გაუმარჯოს აჭარისტანის საბჭოთა ყრილობას!

გაუმარჯოს ამიერ-კავკასიის ფედერაციას!

გაუმარჯოს მჭიდრო კავშირის ყველა საბჭოთა რესპუბლიკებისას!

გაუმარჯოს მსოფლიო რევოლიუციის ბელადებს და აღმოსავლეთის გამომფხიზლებლებს **ლენინს, ტროცკის და ზინოვიევს!**

ქობულეთის მაზრა.

ყრილობას დაესწრო 82 დელეგატი თემების საბჭოებიდან. მათ გარდა—აჭარისტანის ც. აღმასკომის თავმჯდომარე ამხ. ხიმშიაშვილი, საარჩევნო კომიტეტის რწმუნებული ამხ. მოწყობილი და სხვ.

დღის წესრიგში იდგა შემდეგი კითხვები:

1. ამიერ-კავკასიის ფედერაციის მდგომარეობა, 2. საბჭოთა ფედერაციისა და რესპუბლიკების კავშირის შესახებ, 3. ამიერ-კავკასიის საბჭოთა ყრილობის შესახებ, 4. აღმასკომის მოხსენება, 5. დელეგატების არჩევნები, 6. მიმდინარე საკითხები.

ამიერ-კავკასიის ფედერაციის შესახებ მოხსენებას აკეთებს ამხ. თ. ხიმშიაშვილი. ის განუმარტავს ყრილობას, რომ ამიერ-კავკასიის ფედერაცია უკვე 9 თვეა რაც ფაქტიურად არსებობს და მიზნად აქვს განამტკიცოს ეს მდგომარეობა იურიდიულადაც. ფედერაცია საჭიროა იმ მიზნით, რომ ერთი მხრით გაერთიანებული იქნეს მთელი ფუხარა ხალხი და ხელი-ხელ ჩაკიდებული გამოვიდეს ძმურ კავშირში და მეორე მხრივ შექმნას ერთი ცენტრი. წვრილ ერებს, როგორც არის აჭარისტანის, აფხაზეთის, მთიულეთის და სხვა რესპუბლიკები მის შინაურ საქმეებში ექნებათ დამოუკიდებლობა, გარდა იმ საკითხების, რომელთაც ექნებათ საერთო მნიშვნელობა და რომელნიც აღნიშნული იქნებიან მომავალ ფედერაციის კონსტიტუციაში. საკავშირო საბჭოს ექნება კავშირი საერთო ცენტრთან, ისე როგორც მაგ: უკრაინას და სხვა. ამხ. ხიმშიაშვილი აღნიშნავს იმ დიდ მნიშვნელობას, რომელიც ექნება ფედერატიულად შეკავშირებულ რესპუბლიკებს. და მიუთითებს რუსეთის ფედერაციაზე, სადაც შეკავშირებამ შექმნა ის დიდმნიშვნელოვანი ჯარი, რომელიც დარაჯათ უდგია მშრომელი ხალხის ინტერესებს, გააუმჯობესა ეკონომიური მდგომარეობა და შექმნა ის რუსეთი, რომელიც მშრომელ მასის ინტერესებს ემსახურება. შემდეგ აცნობს ყრილობას, რომ ბათუმში მოხდება ამიერ-კავკასიის საბჭოთა ყრილობა, რომელიც უკვე არსებულ ფედერაციას მისცემს იურიდიულ განმტკიცებას. ამ ყრილობისთვის საჭიროა აჭარისტანის რესპუბლიკიდანაც დელეგატების გაგზავნა, რისთვისაც არჩევნები მოხდება ბათუმში 3 დეკემბერს და ამისთვის ყველა მაზრამ უნდა გაგზავნოს დანიშნულ დღისთვის თავისი დელეგატები.

ამ საკითხის შესახებ მიღებულ იქნა ასეთი რეზოლიუცია: ქობულეთის მაზრის საბჭოთა ყრილობა ესალმება ამიერ-კავკასიის რესპუბლიკების ფედერატიულ კავშირს, რომელიც ამტკიცებს პროლეტარულ დიკტატურას და ამაგრებს მშრომელთა კლასის ძალა-უფლებას. ყრილობა მოითხოვს ერთხმათ, რათა მომავალ ამიერ-კავკასიის საბჭოთა ყრილობამ, სადაც შემუშავდება ამიერ-კავკასიის ფედერაციის კონსტიტუცია, რომლითაც შეტანილი იქნება ამიერ-კავკასიის საბჭოთა რესპუბლიკებში რეორგანიზაცია და შესწორებანი, გაატაროს ეს რეორგანიზაცია და შესწორებანი აჭარისტანის რესპუბლიკაშიც. ამასთან ერთად ამ კონსტიტუციაში აჭარისტანის ავტონომია განსაკუთრებული მუხლით იქნეს აღნიშნული.

გაუმარჯოს ამიერ-კავკასიის საკავშირო საბჭოთა ფედერაციას.

გაუმარჯოს იმ საბჭოთა რესპუბლიკებს, რომელნიც შედიან ამ ფედერაციაში.

შემდეგ მოხსენებას აკეთებს ამხ. ავქსენტ კალანდაძე, რომელიც შეეხო საბჭოთა რესპუბლიკების კავშირის საკითხს, რომლის შესახებ მიღებულ იქნა შემდეგი რეზოლიუცია: ყრილობის მიერ მოწონებული იქნა ამხ. კალანდაძის მოხსენება და ერთხმათ გამოსთქვა სურვილი დაუყონებლივ იქნეს გატარებული ცხოვრებაში საბჭოთა რესპუბლიკების კავშირი.

გაუმარჯოს ს. ს. რესპუბლიკების კავშირს.

გაუმარჯოს პროლეტარიატის გაერთიანებულ ფრონტს.

შემდეგ ამხ. ხიმშიაშვილი განუმარტავს ყრილობას, რომ ამიერ-კავკასიის საბჭოთა ყრილობისათვის საჭიროა აჭარისტანიდან დელეგატების გაგზავნა, რომელნიც არჩეული იქნებიან მაზრიდან გაგზავნილ დელეგატების მიერ ბათუმში 3 დეკემბერს. ქობულეთის მაზრამ უნდა გაგზავნოს ბათომის საერთო საბჭოთა ყრილობაზე 33 დელეგატი.

ქ. ბათომში გაიგზავნა შემდეგი პირები: მახარაძე უსუფ, ყურშუბაძე აზაპ, ბერიძე ხ., ბაცუნაშვილი უსუფ, კობალაძე მურად, ქარცივაძე ასლან, მადოიშვილი ახმედ, ცეცხლაძე ხუსუფ, გოგიტიძე ხასან, რომანოიშვილი ბაქირ, თხილაიშვილი რეჯებ, ნოლაიდელი ჯემალ, მახარაძე ახმეტ, ხალვაში ახმეტ, ბარამიძე სულ, გოგიბერიძე მამედ, კაიკაციშვილი ისმაილ, გოგიტიძე ხუსეინ, მჟავანაძე ჯემალ, მოწყობილი ოსმან, ხარაზი მამედ, ალი სტამბოლ ოღლი, მემედ კაიკაციშვილი, ამირიძი ნიკოლოზ, ბეჟან ოღლი (ქურთი), სულეიმან სამბოშ ოღლი, მენაბდე სულ., დიასამიძე მამედ, ახმეტ ცოვაძე, რ. ნიჟარაძე, შ. შარაშიძე, ახმეტ ქათამაძე და უსუფ ქათამაძე.

შემდეგ ამხ. ხიმშიაშვილმა გააკეთა მოხსენება ახალ ეკონომიურ პოლიტიკის მნიშვნელობაზე და შეეხო წევრების შეკითხვით, ქობულეთის ქალაქად გარდაქცევას და აღნიშნა მისი მნიშვნელობა მომავალში.

ამ საკითხის შესახებ მიღებულ იქნა შემდეგი რეზოლიუცია: მოისმინა რა მოხსენება ქობულეთის ქალაქად გარდაქცევის შესახებ ყრილობამ დაადგინა: ვინაიდან საკმაოთ არ არის გარკვეული თუ რამდენათ სასარგებლოა ეს მცხოვრებლებისათვის და ძნელიც იქნება შეუძლებლობის გამო სხვადასხვა გადასახადების გაღება, ამიტომ ქობულეთის ქალაქად გამოცხადების საკითხი დარჩეს ღიათ მომავალ საბჭოს ყრილობამდი, რომელსაც ცენტრალმასკომი გაიცნობს და განიხილავს მას უფრო დაწვრილებით.

ამხ. ხიმშიაშვილი აკეთებს მოხსენებას ნატურ გადასახადის შესახებ და განმარტავს, რომ აჭარისტანს გადახდება ეს ნატურ-გადასახადი, მხოლოდ გაიწერება იმ პირებზე, რომელთაც საზდოზე მეტი ექნებათ.

ყრილობამ მადლობა გამოუცხადა მთავრობას და ერთხმად დასტური მისცა ამ გადაწყვეტილებას.

ჩაქვში მდებარე საუფლისწულო მამულის შესახებ ყრილობამ გადაწყვიტა, მიენდოს მაზრის აღმასკომს, გამოარკვიოს და აცნობოს ყოველივე ხსენებულ მამულის შესახებ აჭარისტანის ცენტრალურ მთავრობას.

საქ. ახალგაზრდათა კომუნისტური კავშირის პირველი კონფერენცია *)

7 დეკემბრის სხდომა.

ამხ. ადამიანი აკეთებს მოხსენებას: „აქტიურ მომუშავეთა განათლება და კავშირის პოლიტიკურ განმანათლებელი ამოცანები".

მომხსენებელი ყოფს თავის მოხსენებას სამ ნაწილათ: 1) საკლუბო მუშაობის მეთოდები; 2) მარქსისტული განათლება; 3) რევოლიუციონური ყოფაქცევის ნორმების გამომუშავება. მომხსენებელმა თავის მოხსენებას დაუდვა საფუძვლათ რ. ა. კ. კ. მე-5 ყრილობის გადაწყვეტილებანი და კერძოთ ამხ. ბუხარინის მოხსენება. ახალმა ეკონომიურმა პოლიტიკამ მისცა საშუალება ახალ ბურჟუაზიულ იდეოლოგიის წარმოებას, ბურჟუაზიული მორალის განვითარებას. საბჭოთა რესპუბლიკა—მშრომელთა ხელისუფლებაა, მისი გავლენა ყველა ფრონტებზე შესამჩნევი უნდა იყოს. ფრონტი იდეოლოგიის ყველა სათუთი და სერიოზული ფრონტია და ამ ფრონტის დასაკუთრება ვინმეს მიერ გარდა პროლეტარიატისა, წარმოადგენს დიდ საფრთხეს საბჭოთა ხელისუფლების შემდეგ განვითარებისთვის. ამიტომ საჭიროა გაძლიერებული ბრძოლა იდეოლოგიურ ფრონტზე, შექმნა პროლეტარული იდეოლოგიის მატარებელ პროლეტარულ ინტელიგენციისა. უმთავრესი როლი ამ შემთხვევაში უნდა ითამაშოს კომუნისტურმა კავშირმა. რათა მან გაამართლოს ეს იმედები, საჭიროა თვით კავშირი იქნეს აღჭურვილი აუცილებელი მარქსისტული-კულტურული ცოდნით. მარქსისტული წრეებისთვის ყურადღების მიქცევა კავშირის მორიგი გადაუდებელი ამოცანაა.

ახალმა ეკონომიურმა პოლიტიკამ მრავალი უარყოფითი მხარეები მოიტანა. ბურჟუაზიული მორალი ვითარდება. მას აქვს გავლენა საზოგადოების ყველა ფენებზე და რასაკვირველია ახალგაზრდათა კომუნისტურ კავშირზეც. კომუნისტური კავშირი შორს უნდა დადგეს ამ გავლენისაგან.

საღამოს სხდომაზე გაკეთებულ იქნა მოხსენება ახალგაზრდა ქალთა შორის მუშაობის შესახებ და კონფერენცია დაიხურა.

*) გაგრძელება იხ. „კომუნ." № 282.

პარტიული ცხოვრება.—

საქ. კომპარტიის ცეკას მუშაობა ოქტომბერში.

ისეთი ძირითადი ხასიათის გადაწყვეტილებები, რომელნიც შესცვლიდნენ პარტიის მომუშავე აპარატის არსებულ სტრუქტურას ც. კ და დაქვემდებარებულ პარტკომების მიერ მიღებული არ ყოფილა. მთელი ყურადღება მიპყრობილი იყო პარტორგანოების გაძლიერებაზე და გამაგრებაზე, ზეპირი და წერილობითი ინსტრუქციების მიცემისა და გაწევის საშუალებით. ისეთ კითხვებზე, რომელნიც მოითხოვდენ განსაკუთრებულ ახსნა-განმარტებასა და მიმართულების მიცემას, ცენტრალური კომიტეტის მიერ იგზავნებოდა შესაფერი ცირკულიარები, ინსტრუქციები და სადირექტივო წერილები.

სხვა და სხვა მიმდინარე კითხვების შესახებ დაგზავნილია შემდეგი ცირკულიარები:

1. პოლიტიკური და სისხლის სამართლის ბანდიტიზმთან მებრძოლი ცენტრალური „სამეულის" შექმნის შესახებ—შინაგან საქმეთა სახალხო კომისრისა, საგანგებო კომისრის თავმჯდომარისა და სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარის შემადგენლობით. ასეთივე სამეულები პარტკომების მდივნებისა, აღმასკომის თავმჯდომარისა და პოლიტ-ბიუროს უფროსის შემადგენლობით შექმნილ იქნენ მაზრებში და რესპუბლიკის ავტონომიურ ოლქებში,— 2. პარტიის წმენდაზე, 3. ცენტრალური დაწესებულებისა და სახალხო კომისარიატების მიერ დამხმარე კასებში გადარიცხვის შესახებ, 4. სამაზრო და სოფლის კომიტეტებთან ურთიერთ დამხმარე კომისიის მოწყობისა და ურთი-ერთ შორის დამხმარე კასაში გადარიცხვის შესახებ, 5. პრაქტიკული ამოცანები პარტკომებისა ტრანსპორტზე, 6. საწერო გადასახადები და 7. არმიიდან დეზერტირობასთან ბრძოლის ზომების შესახებ.

ცალკე დირექტიული წერილითაც ც. კ. მიაპყრობდა პარტკომების ყურადღებას შრომისა და ტვირთ-ზიდვის ბეგარის წესიერათ ჩატარებაზე. დახურულ ინფორმაციულ წერილში ნაჩვენები იყო დეფექტები ორგანიზაციებისა პარტ-მუშაობაში და ზომები არანორმალური მოვლენების ასაცილებლად.

ჩატარებულ იქნა პარტ-კონფერენცია ქუთაისის მაზრაში. კონფერენციაზე დიდი ყურადღება ჰქონდა მიპყრობილი პარტმშენებლობის კითხვებს, განსაკუთრებული დანიშნულების ნაწილს, სასურსათო გადასახადს, კოოპერაციას, სახალხო განათლებასა და სხ. კონფერენცია, კომპარტიის ცეკას წარმომადგენლის მონაწილეობით, ჩატარდა ხელმიწევნით საქმიანათ. არავითარი პრინციპიალური და სხვა უთანხმოებას ადგილი არ ჰქონია. თითქმის ყველა მაზრებსა და ოლქებში ეწყობოდა თათბირები თემკომების და კომუჯრედების მდივნებისა, ინსტრუქტორებისა და მიმაგრებულ პასუხისმგებელ ამხანაგებისა.

(შემდეგი იქნება).

—

თბილისის მეტყევეთა კომუჯრედი.

იყო დრო, როდესაც თბილისის მეტყევე მუშები მოსვენებას არ აძლევდნენ მენშევიკების მთავრობას და შეუპოვარ ბრძოლას აწარმოებდნენ საბჭოთა ხელისუფლების დასამყარებლათ. სამაგიეროთ არც მენშევიკები აკლებდნენ თბილისის მეტყევე მუშებს რეპრესიებს. მეტი ნაწილი მოწინავე მეტყევე კომუნისტების ჩამწყვდეულნი იყვნენ ციხეებში და ნაწილი კი გაძევებული საქართველოდან. ეს დიდ გავლენას ახდენდა ამ დარგის მუშებზე და არევოლიუციონერებდა მათ. მას შემდეგ კი, რაც საბჭოთა ხელისუფლება დამყარდა საქართველოში, თბილისის მეტყევეთა ენერგიული მუშაობით ბევრი საქმე იქნა გაკეთებული, რასაც ხელმძღვანელობას უწევს მეტყევეთა კომუჯრედი. პირველ აპრილიდან ამ კომუჯრედს შეუერთდა სახალხო კვების დარგში მომუშავეთა კომუჯრედი და მასთან ამავე კომუჯრედში იქნა რაიკომის მიერ ჩარიცხული საკმაო რიცხვი პარტ. ამხანაგებისა სხვადასხვა დაწესებულებაში მომუშავენი. მთლად კომუჯრედის წევრთა რიცხვი არის 41. მათში 15 მეტყევეთა დარგის, 5 სახალხო კვების და დანარჩენი 21 კი სხვადასხვა დაწესებულებებიდან. სოციალური შემადგენლობა შემდეგია: ინტელიგენტი 7, დანარჩენები კი მთლათ მუშები. კომუჯრედში ირიცხება 6 ქალი. კომუჯრედზე მიმაგრებულია ხელმძღვანელობის გასაწევად ორი ამხანაგი ესსენი მარო და პენიაკოვი. კომუჯრედი ყოველ კვირაში ერთხელ, პერსკელობით მართავს სისტემატიურ კრებებს, სადაც ირკვევა საჭირბოროტო კითხვები. თავის არსებობის ხანაში კომუჯრედს ბევრი კამპანიები ჩაუტარებია და ერთი ასეთი კამპანიაც ამ ბოლო დროს ჩატარა. კამპანიის მიზანი იყო მეტყევეთაგან დახმარების აღმოჩენა წითელ არმიელებისადმი.

კომუჯრედის მიერ დაარსებულმა კომისიამ შეაგროვა 48 მილიონი მან. და, თანახმათ კომუჯრედის დადგენილებისა, ფული უკვე გადაეცა [illegible] საგანგებო კომისიის [illegible] თელ არმიელთა რაზმს. კომუჯრედს გადაწყვეტილი აქვს თვეში ერთხელ მოიწვიოს შეერთებული კრება წითელ არმიის პარტორგანიზაციების და ამ კომუჯრედის, რათა უკეთ დაუახლოვდენ მუშები წითელ არმიელებს. ამ მიზნით მოწვეული იქნა ნოემბრის 17-ს პირველი შეერთებული კრება, სადაც მოსმენილი იქნა ორი მოხსენება: სოციალური დაზღვევის შესახებ და საერთაშორისო მეურნეობის მდგომარეობაზე. ამ პირველმა შეერთებულმა კრებამ კარგი შთაბეჭდილება დასტოვა კომუჯრედის წევრებზე, და არის იმედი, რომ შემდეგში უკეთ ჩატარდება ყოველნაირი კრებები, რაც ხელს შეუწყობს კომუჯრედის წევრთა გათვითცნობიერებას. საერთოთ შეიძლება ითქვას, რომ ეს კომუჯრედი თავისი შემადგენლობით არის წმინდა მუშური და, თუ მაღალ პარტ-ორგანოებმა არ მოაკლეს ხელმძღვანელობა, არის იმედი, რომ შეიქმნება მთელ თბილისში ერთ საუკეთესო კომუჯრედათ.

გ. ლაფანაშვილი.

ეკონომიური ცხოვრება

ტფილისის ბირჟა.

ტფილისი. 8 დეკემბ. არა ოფიციალური ტფილისის ბირჟა 7 დეკემბრისათვის: ოქროს 10 მან.—1,750,000—1.760,000. ოსმალური ქაღალდის ლირა—167,000—168,000. ოსმალური ოქროს ლირა 1,380,000 1,400,000 გირ. სტერ. ბანკნოტი—1,310,000—1,315,000. დოლარი — 305,000—310,000. ფრ. ფრანკი—18,000-18,500. იტ. ლირა—11,000—11,500 საბჭოთა ფულის ნიშნები—1,2—1,25 პროც.

ბათომის ბირჟა.

ბათომი. 7 დეკემბ. ბათომის ოფიციალური ბირჟა: ოსმალური ქაღ. ლირა—196,000—172,000 ქართული ბონებით. დოლარი — 165—175 3. გირ. სტ.—765—775 3. ოსმალური ოქროს ლირა—735—745 3. ოქროს 10 მან.—1,025—1.040 3. 20 ფრანკი—225—235 3. 20 ლირა იტ.—140—150 3. არა ოფიციალური კურსი: გირ. სტ.—772—782 3. ოქროს 10 მან.—1.020—1,040 3., ოსმალური ოქროს ლირა—750—760 3.

მდგომარეობა ტფილისის ბაზარზე.

ამიერ-კავკასიის საგარეო ვაჭრობის კომისარიატის საინფორმაციო განყოფილების ცნობით ამერიკულ ფქვილზე მოთხოვნილება სუსტია. ბაზარზე ბევრია ყუბანის ფქვილი, ფასები მეტად დაკლებულია. არის აგრეთვე უმაღლესი ხარისხის ყუბანის ფქვილის, ეგრედ წოდებულ დიკმანის, მცირე პარტია, რომელიც ღირს 450 ათასი ფუთი.

საერთოდ კი ყუბანის ფქვილზე ფასი დაკლებულია: უმაღლესი ხარისხის სათესლე ხორბალი 380—400 ათ. ფ. და ფქვილი ფუთი 270—280 ათ. გაძვირდა ადგილობრივი ხორბალი და ქერი, მოთხოვნილება დიდია. ცოტათი გაიაფდა ნატეხი შაქარი; ყუთი ღირდა 5800—6000 ათ. ღირს 5700 ათ. (ჰოლანდიური 3 ტომრით) შაქრის ფხვნილზე მოთხოვნილება დიდია. ისევე ძვირია სახარინი, რომელიც ბაზარზე მეტად მცირეა. მანუფაქტურიდან დიდი მოთხოვნილებაა მხოლოდ საზღვარ-გარეთის ნორმაზე, სხვაზე მოთხოვნილება საშუალოა.

დღევანდელი ფასები შემდეგია: ყუბანის ხორბლის ფქვილი ფუთი 270—280, სათესი 380—400. ამერიკული ფქვილი „ნელსონი" ფუთი 675—680. ადგილობრივი—240—250. სიმინდის—140—150. ადგილობრივი ხორბალი—200—220. ქერი 125—130 სიმინდი 100—110. შაქარი რაფინადი ნატეხი ყუთი 3 ჰოლანდიური ტომარი—5700. შაქრის ფხვნილი ამერიკული ფუთი 1440—1450, სახარინი „სოსიფროსი" კილო 40 ათ. ნარმა ს ს ს ნაჭერი 4100—4200. საზღვარგარეთის ჩითი იარდი 48—60.

საზოგადოება „ჩემო"-ში

მიმოსვლის აღდგენა ჭიათურის შტოზე.

ენერგიული მოქმედების და რაციონალური ზომების მიღების გამო უკანასკნელი წყალდიდობით შეწყვეტილი მიმოსვლა ჭიათურის შტოზე აღდგენილი იქნება არა უგვიანეს 10 დეკემბრისა. ამგვარად, უახლოეს დროში შეიძლება განახლდეს შავი ქვის ექსპორტი წინანდელი ინტენსივობით.

მონაწილეობის გამოკვლევა.

7 დეკემბერს ჭიათურაში მიემგზავრება კომისია ამხ. მოდებაძის

ძალა-უფლების დაპყრობის საკითხი რუსეთში და დასავლეთში

(ამხ. ტროცკის მოხსენება კომინტერნის კონგრესზე).

(გაგრძელება*)

კონცესიები.

ჩვენ ამ ჟამად ვიხილავთ კონცესიას, რომლის აღება სურს ურკარტს. ამ საკითხის გარშემო დიდი კამათია.

ვინ სწყვეტს ამ საკითხს? სწყვეტს მუშათა კლასი.

და ყველა ეს საშიშროება ასეთ პირობებში რეალური არ არის.

მაგრამ მას შეუძლია გახდეს რეალურად, თუ ჩვენ საკითხს უფრო ფართოთ დავსვამთ და ვიტყვით: რა მოუვა მაშინ ახალ ეკონომიურ პოლიტიკას, თუ მთელ მსოფლიოში კაპიტალიზმი ნახევარი ან მეოთხედი საუკუნე იარსებებს. საკითხი თავის თავად სწყდება. თუ ამის და რეგულიაციის შემდეგ კაპიტალიზმი დაამტკიცებდა თავის სიცოცხლის უნარიანობას მთელ მსოფლიოში და განსაკუთრებით იმ ქვეყნებში, სადაც კაპიტალიზმი უკიდურესად არის განვითარებული, თუ ის დაამტკიცებდა, რომ მას აქვს სასიცოცხლო ძალები, რომ შეუძლია იყოლიოს საზოგადოება შედარებით წონასწორობაში და დააკმაყოფილოს მისი მოთხოვნილებანი, და რომ მხოლოდ ამისათვის მუშათა კლასი არ ამბობს მას, ე. ი. თუ კაპიტალიზმი დაამტკიცებდა სიცოცხლის უნარიანობას მთელ მსოფლიოში, მაშინ თავის თავად ცხადია იგი განმტკიცდებოდა ხოლო ჩვენ დავეცემოდით. ამიტომ არ შეიძლება დაისვას საკითხი ისე, რომ თითქოს ახალი ეკონომიური პოლიტიკა ჩვენ დაგვემარცხებს, ახალი ეკონომიური პოლიტიკა არის დათმობა, რომელსაც ჩვენ ვზომავთ და ვწონავთ. ჩვენ ვართ ბატონ-პატრონები. ჩვენ ხელშია კარების გასაღები და კარები კი დაკეტილი გვაქვს. ჩვენ შეგვიძლია დავუგროთ ბურჟუაზია ისეთი გადასახადი, როგორიც ჩვენ გვინდა. ყველაფერი ეს ჩვენს ხელშია, ასე რომ იგი არავითარ საშიშროებას არ წარმოადგენს.

კაპიტალიზმის კრიზისის ხანა.

მაგრამ ამ მხრივ ჩვენ არავითარი საფუძველი არ გვაქვს ოდნავადაც შევცვალოთ ჩვენი თვალსაზრისი, რომელზედაც ჩვენ ვიდექით მე 3 ე კონგრესის თეზისებში. ამ თეზისებში ჩვენ დავახასიათეთ ხანა, რომელიც დაიწყო არა მარტო ომის შემდეგ, არამედ ომის წინად, როგორც კაპიტალიზმის დიდი კრიზისის ხანა. ამის გამო ძალიან დიდი კამათი იყო მე-3-ე კონგრესზე. ამ კამათის საფუძვლად დაედო მაშინდელი ჩემი მოხსენება. თვალსაზრისი, რომელსაც მე ვანვითარებდი და რომელიც კონგრესის დიდმა უმრავლესობამ გაიზიარა, მდგომარეობდა იმაში, რომ კაპიტალიზმის განვითარებაში უნდა გავარჩიოთ ორი ხაზი. კაპიტალიზმის განვითარება ჩვენში გამოიხატება მრუდეთი. მაგრამ მრუდეს აქვს ორმაგი ხასიათი, რომელიც ციკლს აღნიშნავს: აღორძინება, კრიზისი, აღორძინება კრიზისი. ეკონომიურ ლიტერატურაში და კერძოთ მარქსისტულში იგი ძალიან ნაკლებათ არის შესწავლილი.

ვღებულობთ ძალიან რთულ მრუდეს, რომელიც განიცდის მერყეობას ზევით და ქვევით, მაგალითად 50—25 წელიწადი დიდი აღორძინების ხანა შემდეგ 25 წელი ერთბაშათ აღორძინება, და შემდეგ ხელახლა 25 წელი—კრიზისი. ეს დიდი ციკლებია, მაგრამ ამ ციკლების შიგნით, ყოველ 10 წლის განმავლობაში იცვლება ტრიალი და 10 წლის განმავლობაში მყარდება აღორძინების კრიზისი. მე ეს ციფრები მომყავს კონდრატევის წიგნიდან. ეს ციფრები ცოტაოდნად გადაჭარბებულია, მაგრამ ეს დიდი ციკლები შეადგენენ ისტორიაში დიდ ხანას. როდესაც კაპიტალიზმი სწრაფად ვითარდება, მთელი პოლიტიკური ვითარება ეწყობა მასთან შეფარდებით. ბურჟუაზია მდიდრდება მას აქვს შესაძლებლობა დააკმაყოფილოს მუშათა კლასის მოთხოვნილებანი, უმუშევრობა მინიმუმამდე მცირდება და სხვ. კრიზისის დროს ჩვენ საზოგადოებრივ ცხოვრებაში სულ სხვაგვარ მოვლენებს ვხედავთ, უილაჯობის, შეხლა-შემოხლის მოვლენებს და სხვ. აი ამ დიდ ციკლებს შორის იწყება ომები, რევოლიუცია, დიდი ცვლილება ხდება პოლიტიკაში და სხვ.

ეს საკითხი, როგორც დირექტივა მოითხოვს თეორეტიულ დამუშავებას. თუ ამ თვალსაზრისით განვიხილავთ თვითეული ქვეყნის ისტორიას და მთელ კაპიტალისტურ მსოფლიოს, მაშინ ყოველ ეჭვს გარეშეა, რომ მარქსიზმს შეუძლია გააღრმავოს ეს გამოკვლევა დიდი და პატარა ციკლების თვალსაზრისით. და აი, მრავალი ფაქტები გვაფიქრებინებს, რომ 1913 წელი იყო მრეწველობის თითქმის 20 წლის ერთბაში აღორძინების უკანასკნელი წელი, როდესაც ქვეყნის წარმოებამ და საქონლის ნაწარმოებმა გაავსეს ის ჩარჩოები, რომელიც ყოფდა ჩვენ პლანეტას სახელმწიფოებად, მაზრებად, კოლონიებად და სხვ. კიდეც რომ არ დაწყებული ყო ომი, კაპიტალისტური მსოფლიო მაინც ღრმა და ხანგრძლივ კრიზისში მოექცეოდა.

ომმა მხოლოდ გამოაშკარავა კაპიტალიზმის ძველ ჩარჩოებში განვითარების შეუძლებლობა. საჭირო იყო ან გადატანა მისი სხვა პლანეტაზე, ან საზოგადოების ახალ საფუძვლებზე აშენება. 1913—1914 წელში ჩვენ განვიცადეთ დიდი ისტორიული კრიზისი, რომელიც არ უნდა შევურიოთ გარდამავალ შინაგან კრიზისებში. საქმე იმაშია, რომ 1920 წელში დადგა სასტიკი ციკლიური კრიზისი, ე. ი. მორიგი კრიზისი. ზოგიერთ ამხანაგებს ეგონათ, რომ ვინაიდან ეხლა რევოლიუციონური ხანაა, ეს კრიზისი, კიდევ უფრო გამწვავდება, სანამ მუშათა კლასი ხელში არ ჩაიგდებს ძალაუფლებას. ჩვენ ვამტკიცებდით, რომ კაპიტალიზმი ვეღარ განვითარდება მახლობელ 10 წლის განმავლობაში, თუ მუშათა კლასი არ მოექცევა სათავეში, დაიწყება გაბრუნა, ახალი ომები, მაგრამ ეს არ იქნება დაცემის ხაზი, არამედ ეს იქნება მერყეობისა, ე. ი. ღრმა ციკლი. 1920 წ. ჩვენ ვარჩევდით მწვავე კრიზისს, ე. ი. დაცემას, ახლო მომავალში კი ეჭველია დაიწყება ერთგვარი გაუმჯობესების, აღორძინების ხანა.

კონიუნქტურის გაუმჯობესება.

აი ამ ნიადაგზე გაიმართა გაცხარებული კამათი წარსულ კონგრესზე. ფიქრობდენ, რომ კონიუნქტურის გაუმჯობესების აუცილებლობის აღიარება ნიშნავს რეფორმიზმის გზაზე დადგომას. ჩვენ კი ვამტკიცებდით, რომ, მას შემდეგ, რაც მუშათა კლასმა გადაიტანა ომი, 1919 წ. ქაოტიურ გამოსვლების შემდეგ, რომელიც დამარცხებულ აქნა ხელმძღვანელ კომუნისტურ პარტიის ყრილობის გამო, იმის შემდეგ, რაც დაარსდნენ კომუნისტური მუშათა პარტიები, მუშათა კლასი უკვე ფრთხილი გახდა 1921 წ. გერმანიის მაგალითების მიხედვით. ამერიკაში 5 მილიონი უმუშევარია, ინგლისში 3 მილიონი; კრიზისი აძაბუნებდა ისედაც დაავადებულ მუშათა კლასის ორგანიზმს და ზრდიდა არა რევოლიუციონურ ენერგიას, არამედ დროის შერჩევის გაწყობილებას და პასიურობას. და სწორედ ამ დროს მე ვამტკიცებდი, რომ ცოტაოდენი გაუმჯობესება—დღევანდელ მომენტში, ისევე როგორც 9—10 წლებში 1905 წლის დამარცხების და 1907 წლ. უსაშინლესი კრიზისის შემდეგ, როდესაც დაიწყო სრული კატასტროფა, გაფიცვები, ლენის ამბები და სხვ.—ყველაფერი ეს იყო მრეწველობის გამოცოცხლების ნიადაგზე, როდესაც მუშათა კლასმა იგრძნო თავისი ძალა მრეწველობაში. მე ვამტკიცებდი, რომ კონიუნქტურის ახალი გაუმჯობესება იქნება სტიმული გაფიცვების და რევოლიუციონური მოძრაობისა. ეს დებულება შეტანილ იქნა თეზისებში. ეს ეხლა დასტურდება ამერიკაში უმუშევრების შემცირებით. ინგლისში—ძალიან მძიმე მდგომარეობაა, მაგრამ იგი აღარ უარესდება, ლითონის წარმოებაში კი პირიქით უმჯობესდება. იაპონიაშიც ნაწილობრივი გაუმჯობესება ემჩნევა მაგრამ როგორია ეს გაუმჯობესება?. მინიმალური: რაში გამოიხატება იგი? კაპიტალის პერსპექტივის თვალსაზრისით მას ძალიან ნაკლები მნიშვნელობა აქვს, მუშათა კლასის ბრძოლის თვალსაზრისით კი—უდიდესი მნიშვნელობა.

თუ ქარხანაში გუშინ 1.000 კაცი იყო, დღეს 990, ხოლო სხვა 980, მაშინ 1919—1920 წლ. დაუძლურებულნი მუშები უფრთხილდებიან თავიანთ ადგილებს, თვითეული მათგანი მოელის ქარხნიდან განდევნას. თუ კი ქარხანაში გუშინ იყო 1,000 კაცი, დღეს 1001, მაშინ თვითეული მუშა მაგრად გრძნობს თავს და მას შეუძლია წინააღმდეგობის გაწევა ჩვენ ვხედავთ, რომ ინგლისში და საფრანგეთში ამ ხნის განმავლობაში საგაფიცვო მოძრაობა გაიზარდა. უეჭველია, რომ გარემოება მეტს გამბედაობას შემატებს მუშათა კლასს, შეაკავშირებს და განამტკიცებს პროფკავშირებს, რომელნიც ძალიან შეირყენ 20—21 წლებში.

ევროპის კერენშჩინის ხანა.

ერთიანი ფრონტის ტაქტიკას ასეთ პირობებში დიდი მნიშვნელობა ეძლევა. აქედან გამომდინარეობს მახლობელი პოლიტიკური პერსპექტივები, საფრანგეთი განიცდის ამ ჟამად პოლიტიკურ გარდატეხას. იქ ამ ჟამად გაბატონებულია ნაციონალისტური ბლოკი, რომელსაც პუანკარე მეთაურობს, და აშკარად მზადდება ნიადაგი მემარცხენე დემოკრატიულ, რეფორმისტულ, პაციფისტურ ბურჟუაზიის გამარჯვებისათვის. ინგლისში ამ ჟამად არჩევნები დაიწყო. ეს არჩევნები ლოიდ-ჯორჯის კოალიციის დაშლის გამო უფრო ადრე მოხდა, ვიდრე მას მოელოდენ. არ ვიცით ვინ გაიმარჯვებს. შესაძლოა ისევ ძველმა კოალიციამ გაიმარჯვოს მაგრამ ეს გამარჯვება არ იქნება ხანგრძლივი. რატომ ხდება ეს? იმიტომ, რომ ისტორიულ ხაზში, რომელშიაც კაპიტალიზმი იმყოფება, იმპერიალისტური, ვერსალის ზავის, ფოშის და პუანკარეს მეთოდები აღარ გამოდგება. საფრანგეთს არაფრის მიღება არ შეუძლია გერმანიისაგან. საფრანგეთს არ შეუძლია გადაიხადოს თავისი ვალები. ინგლისსა და საფრანგეთს შორის ანტაგონიზმია. ამერიკას არ სურს უარი სთქვას ვალების აღებაზე. და წვრილ და მსხვილ ბურჟუაზიულ ელემენტებს შორის რეაქციის გამო, თავს იჩენს რეფორმისტულ-პაციფისტური სულის კვეთება, რომ საჭიროა როგორმე მოლაპარაკებით გაათავონ საქმე გერმანია-რუსეთმა, რუსეთ—ინგლისმა და სხ. ომის და გამარჯვების, შოვინიზმის, ნაციონალიზმის, იმპერიალიზმის ილუზიები, რომელიც მოედო მუშათა კლასის ზედა ფენებს, შეიჭრა მის მასებში, და იცვლება დემოკრატიულ პაციფისტურ ილუზიებით. პირველ ყოვლისა ამ ილუზიების ტალღა წვრილ ბურჟუაზიულ წრეშია, შემდეგ კი იგი შეიჭრება მუშათა კლასში და მსხვილი ბურჟუაზია თავის აშკარა იმპერიალისტურ სახეს პაციფისტურ რეფორმისტულ ნიღაბით დაიფარავს. ეს ნიშნავს მემარცხენეთა ბლოკის მოახლოვებას საფრანგეთში, მუშათა მთავრობის მუშათა პარტიის დამოუკიდებელ ლიბერალების ბლოკის მოახლოვებას ინგლისში.

თუ ეს ასეა, თუ ამ ორ ქვეყანაში ძალა-უფლებას ხელში ჩაიგდებს პაციფისტური წვრილი ბურჟუაზია, რომელსაც ხელმძღვანელობს მსხვილი ბურჟუაზია, მაშინ გერმანიას მიეცემა იმედი, რომ ეს მთავრობები შეთანხმდებიან, მიანიჭებენ მას მორატორიუმს და სხ. ე. ი. პაციფიზმი თავის რეფორმისტულ ილუზიებით უეჭველია თავის გავლენას გერმანიაშიაც მოიპოვებს. ცუდია ეს თუ კარგი? ეს აუცილებელია. ეს ხლება ამ ქვეყნების განსაზღვრულ ხანას შეადგენს, რომელიც შეიძლება გაგრძელდეს ერთ, ორ ან მეტი წელიწადები. რა თქმა უნდა მოვლენები, შეიძლება უფრო გაიშალოს. თუ ეს ასეა, მაშინ რეაქციის პაციფისტური ტალღა უპირატესობას მოიპოვებს. სხვა ნაირად რომ ვსთქვათ ეს იქნება ევროპის კერენშჩინის ხანა, ე. ი. რევოლიუციის მოახლოვების ხანა. რა თქმა უნდა თუ კი ეს არ მოხდა, კერენშჩინა ვერაფერი სასიამოვნო ამბავია და ისიც მსოფლიო მასშტაბით. მაგრამ ეს ჩვენზე არ არის დამოკიდებული. ჩვენი ამოცანაა—მივსცეთ ამას რევოლიუციის შესაფერი ხასიათი ძალა უფლების ხელში ჩასაგდებათ. მსოფლიო წინააღმდეგობანი ძალიან დიდია.

რა მდგომარეობა იყო ჩვენში კერენშჩინის ხანაში. პირველად იყო იმედიანი გასხივოსნება. უანექსიო და უკონტრიბუციო ზავი და სხვა, შემდეგ კი გაჰყვენ ბოლშევიკებს.

ჩვენში ეს 9 თვის განმავლობაში მოხდა. ეს მოხდა უმთავრესად ჩვენი პირობების პოლიტიკური პრიმიტივობის, ჩვენი ბურჟუაზიის უთაურობის, კერენსკების სისუსტის გამო და ჩვენი პარტიის საუკეთესო თვისებების წყალობით. სხვაგან ასეთი პარტია ჯერ არ არსებობს. სხვაგან ეს გაგრძელდება დიდ ხანს ამიტომ, რომ კერენსკებიც იქ უფრო გამოქნილები არიან, და კომუნისტური პარტიაც უფრო სუსტია.

რეფორმიზმისათვის ნიადაგი არ მოიპოვება.

მაგრამ აქ ჩვენ მივადექით ძალიან კრიტიკულ მომენტს. პირველ ყოვლისა არის თუ არა აქ საშიშროება? ერთი ახალგაზრდა ფრანგი—ამხანაგი დიური ეკითხება, რა იქნება მაშინ თუ ჩვენმა კომუნისტურმა პარტიებმა მხარი დაუჭირეს ნაწილობრივ ლოზუნგებს, რომელსაც კომინტერნი გვირჩევს, განა ისინი არ გადავარდებიან რეფორმიზმში? ამხ. დიური აღნიშნავს, რომ მე-2 ე ინტერნაციონალი აწარმოებდა ბრძოლას ნაწილობრივ მოთხოვნილებათა სასარგებლოდ და სრულიად ჩაეფლათ რეფორმიზმში. ეს მართალია. მეორე ინტერნაციონალს ქონდა მინიმალური პროგრამა და კიდეც დაიღუპა რეფორმიზმის წყალობით, რაც ომის დროს გამოაშკარავდა.

რატომ განვითარდა ეს რეფორმიზმი და რათ მიიღო მან ასეთი მწვავე ხასიათი? იმიტომ, რომ კაპიტალიზმი ომამდე იმყოფებოდა ზრდისა და აღორძინების სტადიაში, ბურჟუაზია მდიდრდებოდა, იგი ხელიდან გლეჯდა უფრო სუსტ ერებს სიმდიდრეებს და აგროვებდა დოვლათს.

ეს იყო ბურჟუაზიის ტაქტიკა 19

---

*) იხ. „კომუნისტი" № 282.

ეროვნული ბიბლიოთეკა

თავმჯდომარეობით, რომელმაც უნდა გამოარკვიოს საზოგადოება „ჩემო“-ს წევრების მონაწილეობის ფაქტორები და სათანადოთ გადაანაწილოს უკანასკნელნი.

შავი ქვის შედარების გაზომვის და ქარხნების შემოწმების დროს აუცილებლად უნდა ესწრებოდენ მათი პატრონები. მომავალში ყოველგვარ გაუგებრობის თავიდან ასაცილებლად მეპატრონეებმა ხელი უნდა მოაწერონ კომისიის აქტებს.

კოლექტიურ ხელშეკრულებანი.

შეუდგენ 1923 წ. 1 იანვრიდან ახალ კოლექტიურ ხელშეკრულებათა გამომუშავებას ჭიათურაში და ფოთში შავი ქვის მტვირთავებისთვის. პროფესიონალურ ორგანოებთან მოსალაპარაკებლად „ჩემო“-ს საბჭოდან არჩეულია: თავმჯდომარე ვარაზაშვილი, თავმჯდომარის თანაშემწე ვიურცბურგერი და საბჭოს წევრი ინჟ. ბერიძე. კომისია იმუშავებს საზოგადოების დირექციის და მთავრობის წარმომადგენელ კ. ს. მოდებაძის მონაწილეობით.

საზოგადოების ფინანსიური ოპერაციები.

საზოგადოების დირექცია აწარმოებს მოლაპარაკებას ადგილობრივ მსხვილ ბანკებთან საზოგადოების თანხების საქართველოში შენახვის და საზოგადოების ყველა ფინანსიურ ოპერაციების საქართველოს ერთ-ერთ ბანკში გადატანის შესახებ. დღემდე ეს ოპერაციები წარმოებს საზღვარგარეთელ ბანკებში და ეს კი ქმნის დიდ დაბრკოლებებს საზღვარგარეთთან დამოკიდებულების სიძნელის გამო.

ვალიუტის, ჩეკების და სხვათა გაზიდვის შესახებ.

საქართველოს სახალხო კომისართა საბჭო შუამდგომლობს საკავშირო საბჭოს წინაშე, რათა საზოგადოება „ჩემო“-ზე არ ვრცელდებოდეს ვალიუტის, ჩეკების და სხვ. გაზიდვაზე არსებული საერთო წესები, საზოგადოება „ჩემო“-ს ფინანსიურ ოპერაციების განსაკუთრებულ პირობების გამო.

საზოგადოების ახალი წევრები.

საზოგადოება „ჩემო“-ში შეტანილია განცხადებები, საზოგადოებაში წევრად შესვლის შესახებ ჭიათურის შავი ქვის მრეწველთა ამხანაგობებიდან: „მრეწველთა გუნდი“ და „კავშირი“. აგრეთვე განაცხადა სურვილი საზოგადოება „ჩემო“-ს წევრად დაბრუნების შესახებ ი. ი. ვანდერტაალენის ბელგიის მსხვილმა ფირმამ. როგორც განსაკუთრებული ფირმა საზოგადოებაში შედის გომერ ავერინოს წარმოება.

მიწის ახალი კანონის გატარება

ახალციხის მაზრა. მუშაობა მაზრაში დაიწყო ა. წ. ივნისში, ცენტრიდან იყო წარგზავნილი 1 მიწათმომწყობი და 2 მიწის მზომელი, რომელნიც მუშაობდენ ადგილობრივ მიწის კომიტეტებთან სრულის შეთანხმებით. მუშაობა, მიუხედავად ტექნიკურ მოწყობილობის სიმცირისა, წარმატებით სწარმოებდა და ნოემბრისათვის დათვალიერებულ და მოწყობილ იქნა 20 სოფელი, საერთო სივრცით—8220 დესიატინა. მიწათმოწყობის სამუშაოს წარმოების დროს მიწები დაყოფილ იქნა კატეგორიებათ. დარჩა—5309 ნაჭერი მიწა სივრცით 2267 დესიატინა.

უმიწაწყლო და მცირე მიწის მქონე გლეხებისათვის დასარიგებლად იმ პირთ, რომელთაც მიწა ნორმაზე მეტი ჰქონდათ, ჩამოერთვათ 328 ნაჭერი, სივრცით 367 დესიატინა, წინანდელ მეპატრონეთ ნორმის სახით დარჩათ—401 ნაჭერი, სივრცით 248 დესიატინა. კულტურულ განმანათლებელ მიზნებისთვის და აგრონომიულ ხასიათის ღონისძიებათათვის გადადებულია 24 ნაჭერი, სივრცით 66 დესიატინა.

სწარმოებდა აგრეთვე მუშაობა 1921 წელს შემუშავებულ საანკეტო ცნობების შესასწორებლად და ამის გარდა გამორკვეულ იქნა სარწყავი არხის გაყვანის შესაძლებლობის პირობები სოფ. აწყურში, პრიოხში, ზიკილიაში და აგარაში მიწის მორწყვის მოსაწყობათ.

მაზრის მცხოვრებთა განწყობილება მიწის რეფორმისადმი თანაგრძნობითია.

ქრონიკა

შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატში.

— **ახალი თემი.** შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატმა განიხილა რა მოხსენება სენაკის მაზრის აღმასრულებელი კომიტეტისა და შუამდგომლობა სოფლების: გულკარის (ქუთ. მაზრა), კეთილარის და კოდორის (სენაკის მაზრა) მცხოვრებთა ცალკე სათემო ერთეულად შექმნის შესახებ სენაკის მაზრაზე მიწერით—დაადგინა: სოფელი გულავარი ამორიცხულ იქნის ქუთაისის მაზრიდან და მიწერილი სენაკის მაზრაზე. საყანე ადგილი „ანჯელიო“-ს სარგებლობა კი დარჩეს კვლავ უცვლელათ, რისთვისაც ქუთაისის, ოზურგეთის და სენაკის მაზრების ხელისუფალთ ევალებათ მიიღონ ყოველნაირი საჭირო ზომები, რათა ადგილობრივ მკვიდრთ სამივე მაზრისას არ მოესპოთ ზემოთ დასახელებული საყანე ადგილით სარგებლობის საშუალება. სენაკის მაზრაში დაწესდეს ახალი თემი სამი სოფლის შემადგენლობით: გულეკარი, კოდორი და მეორე კეთილარი—პირველი (ე. ი. გულეკარის) ადმინისტრატიულ ცენტრად გამოცხადებით.

მიწათ-მოქმედების კომისარიატში

— **ტყეების მოწყობა.** სატყეო განყოფილების სპეციალისტების ტაქსატორების მიერ უკვე დამთავრებულია საქართველოს ტყეების მოწყობისათვის საველე მუშაობა. ტყის მომწყობთა ჯგუფები უკვე დაბრუნდნენ და შეუდგენ კამერალურ მუშაობას, მიღებულ მასალების გადასამუშავებლად და სათანადო სამეურნეო გეგმების შესამუშავებლად. სამი სატაქსაციო ჯგუფის მიერ მიმდინარე წელში მოწყობილია შემდეგი აგარაკები: ჩათახის (ბორჩალოს მაზრა) 25 ათასი დეს. აბასთუმნის 10-15 დეს. რაჭის მაზრის 25-30 დეს და ლეჩხუმის მაზრის 30-35 დესეტინამდე.

ჯანმრთელობ. კომისარიატში

— **დახმარება.** სახალხო ჯანმრთელობის კომისარიატის კოლეგიის დადგენილებით, წითელ ყაზარმების სასარგებლოთ გადადებულ იქნა 100 მილიონი მან.

ქალაქის ალმასკომში.

— **ამერიკულ კომიტეტის შესახებ.** ქალაქის ალმასკომის პრეზიდიუმმა დაადგინა ამერიკულ კომიტეტს, საბჭოთა სახლებში ბინის ქირა, წყლის და განათების გადასახადი 1-ლ დეკემბრიდან გადახდეს საერთო ჯამის 50 პროც. 1-ლ დეკემბრიდან კი გადახდეს წყალის და ელექტრონის საფასური ნიხრის თანახმად. ხოლო ბინის ქირა პირადი შეთანხმებით.

— **დახმარება მგოსან იროდიონ ევდოშვილის ქვრივს.** ამავე სხდომაზე პრეზიდიუმმა დაადგინა, მგოსან იროდიონ ევდოშვილის ქვრივს ერთდროული დახმარების სახით მიეცეს 5 მილიონი მან.

— **შრომისა და ტვირთზიდვის გადასახადის აკრეფაზე ნაყოფიერ მუშაობისათვის.** ქალაქის ალმასკომის პრეზიდიუმმა მოიწონა შრომისა და ტვირთზიდვის გადასახადის ამკრეფ კომისიის მუშაობა და დაადგინა: გადასახადთა ბიუროს 6 აგენტს მიეცეს ნაყოფიერ მუშაობისათვის ჯილდოთ ორ-ორი მილიონი, ხოლო აღნიშნული კომისია დღეიდან იქნეს გაუქმებული, მისი ფუნქციები კი გადაეცეს საფინანსო განყოფილებას.

— **ქალაქის მუზეუმის 1922 წლის ხარჯთ-აღრიცხვის დამტკიცება.** ამხ. ბაქრაძის მოხსენების თანახმად, პრეზიდიუმმა დაამტკიცა ქალაქის მუზეუმის 1922 წლის ხარჯთ-აღრიცხვის საერთო ჯამი, რომელიც უდრის 41.306.000 მან. მიმდინარე წლის 1 ოქტომბრიდან, წლის ბოლომდე.

— **სამართველოს ადმინისტრატიულ ნაწილის გამგის თანაშემწის დანიშვნა.** პრეზიდიუმმა დაამტკიცა სამართველოს ადმინისტრატიულ ნაწილის გამგის თანაშემწეთ ამხ. ჯორბენაძე, ხოლო ამხ. კილურაძე კი დაუბრუნდა კანცელარიის გამგის თანამდებობას.

განათლების კომისარიატში

— **მიწერილობა.** სახალხო განათლების კომისარიატმა დაუგზავნა რესპუბლიკის განათლების ყველა განყოფილებებს და ტექნიკუმების გამგეებს მიწერილობა, რათა დაუყონებლივ აცნობონ კომისარიატის ადმინისტრატიულ მმართველობას სია იმ თანამშრომელთა, რომელნიც ხსენებულ დაწესებულებებში ღებულობენ ულუფას და რამდენს. აგრეთვე უნდა წარმოდგენილი იქნეს ცნობები იმის შესახებ, ნორმალურად რიგდება ულუფა თუ არა.

— **ბრმების სკოლაში.** პირველ დეკემბრისათვის ბრმათა სკოლაში ირიცხებოდა 35 მოსწავლე, 18 ვაჟი და 17 ქალი. ეროვნების მიხედვით კი 18 ქართველი, 14 სომეხი, 2 ებრაელი და 1 მუსულმანი. 15 ოქტომბრიდან 2 დეკემბრამდე ამ სკოლასთან არსებულ საჩოთქე სახელოსნოში დამზადებული ჩოთქები ბრმა მოწაფეების მიერ, გაყიდულია 9 მილიონის და 720 ათასი მანეთის. მიმდინარე წელში ბრმათა სკოლაში ავადმყოფობას არ ქონია ადგილი, სკოლაში სათანადო მზრუნველობის გამო.

კრებები და მოხსენებები

— საგანგებო სამალიარიო კომისიის მორიგი სხდომა გაიმართება შაბათს, 9 დეკემბერს, საღამოს 7 საათზე რკინის გზათა სამმართველოს შენობაში (ვაგზლის და ელისაბედის ქ. კუთხე) დღის წესრიგშია: ექიმი კანდელაკის მოხსენება: „მომავალი სანიტარული ღონისძიებანი რკინის გზის ხაზის ტერიტორიის გაჯანსაღებისათვის“, 2) ბოტანიკოსი—ექიმი შიშკინი—ა) დასავლეთ საქართველოში ქინაქინის ხის მოშენების შესაძლებლობა ამიერ-კავკასიის რკინის გზების საჭიროებისათვის. ბ) ისეთი ხეების გაშენება (ევკალიპტის), რომელიც ხელს უწყობს ჭაობების ამოშრობას, რკინის გზის ხაზის მიდამოებში. 3) პროფ. გულენკო—მასკიცის საწინააღმდეგო სითხე და მისი ხმარება მალიარიასთან საბრძოლველად. მოწვეულნი არიან მალიარიის საკითხით დაინტერესებულ ორგანიზაციათა წარმომადგენლები სათათბირო ხმის უფლებით.

სხვა და სხვა.

— **მუშათა სახლების შეკეთება.** მუშათა სახლების შეკეთების საქმე კარგად მიმდინარეობს, დასრულებულია გარეგანი შეღებვა სახლების და ამ დღეებში დაიწყება საცხოვრებელი ბინების შეკეთება წყალსადენის გაყვანა და სხვ.

— **ვერის ხიდის შეკეთება.** ვერის ხიდის შეკეთება დაიწყება ამ დღეებში, რისთვისაც საჭირო ხე ტყე უკვე შეძენილია, ხიდის შეკეთების დასრულება ვარაუდით უნდა დასრულდეს 1 იანვრისთვის, რის განმავლობაში შეჩერებული იქნება ხიდზე მოძრაობა, როგორც ტრამვაის, ისე საბარგო მზიდავების.

— **ქალაქის აღწერის დასრულება.** ქალაქის აღწერა დასრულდა, სწარმოებს აღმწერლების ნამუშევარის და მასალების დამუშავება ამ დღეებში გამოქვეყნებული იქნება ჯამი ტფილისის მცხოვრებლების, სახლის პატრონების და ოთახების რიცხვს.

— **ივ. გომელაურს გადმოუთარგმნია** ცნობილი პედაგოგი ედ. ერტლის თხზულება: „სახალხო სკოლა და შრომის დასაბამი“. მიღებულია ზომები, რომ ეს წიგნი მალე დაიბეჭდოს

საუკუნეს მეორე ნახევარში. ევროპაში და ამერიკაში ბურჟუაზია არა თუ ავიწროებდა მუშებს, პირიქით უთმობდა მათ. რატომ? იმიტომ რომ კაპიტალიზმი იზრდებოდა და ბურჟუაზიას ქონდა საკმაო რესურსები. დღეს კი კაპიტალისტური მეურნეობა დაშლის სტადიაშია და გარდა ამერიკისა, ვერც ერთი ქვეყანა ვერ მიუახლოვდა ომამდე არსებულ დონეს. მუშების რიცხვი კი გაიზარდა, მოთხოვნილებამ მოიმატა.

პირობები ისეთია, რომ ბურჟუაზიას არ შეუძლია მოახდინოს რეფორმები. იგი იბრძვის 8 საათის სამუშაო დღის წინააღმდეგ. სადაც ეს სამუშაო დღეა, მას იგი აუქმებს, იგი ამ გზით ფიქრობს წონასწორობის აღდგენას, რათა უფრო ძლიერად დააწვეს მუშათა კლასს. რეფორმიზმისათვის ნიადაგი არ არსებობს. რეფორმიზმი გამოგონილი იყო არა იმიტომ, რომ ნაწილობრივი მოთხოვნილებები წამოეყენებიათ, არამედ იმიტომ რომ ბურჟუაზიას შეეძლო მათი დაკმაყოფილება და მუშათა კლასის მოტყუება.

მატერიალური წინასწარ პირობები მოისპენ, მაგრამ ეს იმას კი არ ნიშნავს, რომ ჩვენ შეგვიძლია იმედი დავამყაროთ ობიექტიურ პირობებზე. რამდენადაც ძალაუფლების ხელში ჩაგდების მომზადება ევროპაში (მე არა მყავს სახეში ამერიკა) გაჭიანურდა ომის შემდეგ და ცხადია იგი შეითხოვს ერთ ორ წელიწადს შესაძლოა მეტსაც, იმდენად რა თქმა უნდა, ამ მოსამზადებელ ხანაში, მუშათა კლასის შედარებით პასიურობის პირობებში, ბურჟუაზია თავის დემოკრატიულ აგენტების საშუალებით შემოიპარება ჩვენ პარტიაში, მით უმეტეს რომ არის ისეთი ელემენტები, რომელნიც შეითვისებენ ბურჟუაზიის ზეგავლენას. ამას ადგილი აქვს საფრანგეთის პარტიაში, იტალიის პარტიაში, მაქსიმალისტებს შორის არიან პაციფისტურ რეფორმისტულად განწყობილი ელემენტები.

კომპარტიები მზად უნდა იყონ

აქ იმდება მთელი თავისი სიგრძე-სიგანით პოლიტიკურ-პარტიული საკითხი. იმ მომენტში, როდესაც ეს პაციფისტურ-რეფორმისტული ტალღა, რომლის აუცილებლობის შესახებ მე ვილაპარაკე, დაფარავს მუშათა კლასის დიდ ნაწილს ინგლისში, საფრანგეთში და გერმანიაში, და ამის შემდეგ დადგება სასოწარკვეთილების და წყევლა-კრულვის ხანა, როგორც ამას ადგილი ქონდა ჩვენში კერენშჩინას მიმართ. საჭიროა, რათა მუშათა კლასმა, როდესაც იგი გამოფხიზლდება თავის პაციფისტურ-რეფორმისტულ ილიუზიებიდან, არ დაიწყოს ძებნა ისეთი პარტიისა, რომელიც მას აღარ მოატყუებს. სხვანაირად რომ ვსთქვათ, რომ იგი ერთბაშათ მიხვდეს, რომ ამ პერიოდში კომუნისტურ პარტიას, არ დაუთმია თავისი პოზიციები, არ გაუზიარებია ეს ილიუზიები და იგი მუდამ მტკიცე და რევოლიუციონური იყო. და მაშინ ჩვენი პარტიისაკენ ლტოლვა ისეთსავე სტიქიურ ხასიათს მიიღებს, როგორიც მას ქონდა 1917 წლის აგვისტოში და სექტემბერში.

ამისათვის პარტია უნდა განირჩეოდეს თავისი დარაზმულობით, და ამ პერიოდში მან უნდა გასწმინდოს თავისი რიგები რეფორმისტების და პაციფისტებისაგან, რომელნიც პარტიაში იმყოფებიან. საფრანგეთის პარტიის გენერალური მდივანი ამბობს, რომ პარტია არის ერთიანი დიდი თანამეგობრობა (გრანდ-ამიციე). ეს რა თქმა უნდა ძალიან კარგი ფორმულაა, მაგრამ ამ ფორმულის ხმარების უფლება ჩვენ უნდა მოვიპოვოთ. საფრანგეთის კომუნიზმს ჯერ ეს უფლება არ მოუპოვებია. სანამ პარტია დიდ თანამეგობრობათ გახდებოდეს, მან უნდა მოახდინოს ინდივიდუალური და ჯგუფობრივი შერჩევა და სადაც ეს საჭიროა შერჩევა დაუზოგავ. და მხოლოდ ამის შემდეგ შეუძლია გახდეს მის დიდ თანამეგობრობად, რომელიც რევოლიუციონურ მომენტში არ დასთმობს თავის პოზიციებს და ხელში ჩაიგდებს ძალაუფლებას. (მქუხარე ტაში).

ხელოვნება

სახალხო სახლი

სტუმარ-მასპინძლობა ტრიფ. რამიშვილის. რეჟისორი—შალვა დადიანი.

კვირა, 3 დეკემბერი

სამი ისტირიული პიესის შემდეგ სახალხო სახლის ქართულმა დრამამ გვიჩვენა ახალი ორიგინალური კომედია ტრიფონ რამიშვილის „სტუმარ-მასპინძლობა“. პიესა დაწერილია ახლო წარსულში, დაიბეჭდა „ცისარტყელაში“ 1920 წელს. ჩვენ დამსახურებულ დრამატურგებს უყვართ ძველ ყაიდაზე წერა, უფრო კი პორნოგრაფიული სურათებით. იშვიათი იყო ცდა კლასიკური დრამის თუ კომედიის შესაქმნელად, თუ ასეთს რომელიმე ჩვენი დრამატურგთაგანი მოინდომებდა უეჭველად დამარცხებას განიცდიდა. ადვილია ჩვენი ცხოვრების დაბალ ფენებში ჩახედვა, მასის სულიერი მდგომარეობის ასხმა, მაგრამ აბა შეეცადეთ ქართველი ინტელიგენციის გულის გადაშლას, მისი ფსიხოლოგიის გაგებას! იშვიათად მიუდგება მწერალი ჩვენს ძველს თუ ახალ თაობას. რამდენად უბრალო და გულუბრყვილოა ქართველი გლეხი თუ ქალაქის მუშა, იმდენად გაქნილია ჩვენი ზედა ფენის ხალხი. ამიტომ დიდ სიძნელეს წარმოადგენს დრამატურგისათვის დაიჭიროს ქართველი ინტელიგენტის სული და უნაკლოდ გააშუქოს იგი. ამ მხრივ სხვებს გაასწრო ტრ. რამიშვილმა. მისი „სტუმარ მასპინძლობა“ პირველი ცდაა კლასიკურ კომედიის დაწერისა და ეს ცდა ნახევრად გამარჯვებით უნდა ჩაითვალოს, ნახევრად მეთქი, რადგან. პიესაში არის ძველი სულიც, პორნოგრაფიის ნამსხვრევები და ეს ავტორმა უეჭველად უნდა მოიშოროს შემდეგ შრომაში მაინც. უნდა ითქვას, რომ ქართულ დრამატურგიას არ აქვს კომედიები, ნამდვილი მხატვრული და ლიტერატურული მნიშვნელობით. რიცხვი „ქართულ“ კომედიებისა დიდია, მაგრამ არც ერთი მათგანი არ ვარგა რამოდენიმეს გამოკლებით. ჩვენი პიესები დაწერილია უმეტეს ნაწილად თბილისის კინტოების ცხოვრებიდან და აქამდე ხომ დრამატურგი იმიტომ უფრო წერდა დრამა-კომედიას, რომ ვასო აბაშიძე ან სხვა რომელიმე მსახიობს ეთამაშა და პიესაშიც უეჭველად მათი როლი უნდა ყოფილიყო, აქამდე პიესები იწერებოდენ მსახიობისთვის და არა ხალხისთვის. სტუმარ მასპინძლობას ეს ნაკლი არ აქვს. ავტორს სახეში აქვს საქართველოს სინამდვილე, როცა ყოველ კუთხიდან დაუპატიჟებელი სტუმრები: გერმანელები, თათრები, ინგლისელები და შემდეგ იტალიელებიც გვეწვეოდენ ხოლმე. საქართველოს მდგომარეობა მაშინ ტრაგი-კომიკური იყო და რამიშვილის პიესაში მის სარკაზმში არის ტრაგედია, სიცილში სევდა ურევია, კომედია დაწერილია ახალი სულით, რიტმიულობა დაცულია თავიდან ბოლომდე და ჩვენი ღარიბი რეპერტუარისთვის დიდ განძს შეადგენს. თანამედროვე დრამატურგიას არ სწამს ორ არშინიანი მონოლოგები, განსაკუთრებული ყურადღება უნდა ქონდეს მიქცეული მოქმედებას, განცდას, პლასტიკას, პაუზის დროს თამაშს—სახიერებას და არა ორატორობას—მიტინგობას. სტუმარ-მასპინძლობა ძალიან ცოცხალია, მოქმედებიანი. ამ პიესის დადგმამ, მისმა განსახიერებამ სავსებით დაამტკიცა, რომ სახალხო სახლის ქართული დრამის მსახიობნი არ არიან გაჩენილნი ხოლმე მოდემილ ისტერიული პიესებისთვის. ვინც 3 დეკემბრის წარმოდგენა ნახა ძალიან გაუკვირდება პერსონალურად რომელიმე მსახიობზე ლაპარაკი და დაფასება. ყველა ერთი ერთმანეთზე უკეთესი იყო.

ნინიძე (ბესელიძე) ჩერქეზიშვილი (მამიდა), ნინონი (ცოლი), ადამიძე (ბუყიაშვილი), ხახანაშვილი (გობრონიძე), კობელი (ვახრაკიძე) და სხვა შეუდარებელნი იყვნენ. წარმოდგენა კარგად იყო დადგმული, კარგად ჩაიარა და ხალხიც ბევრი დაესწრო.

ხელოვანი.

— **ახალი ფარდა ქართულ თეატრისათვის.** ცნობილმა თეატრალმა, ელენე სუხადოლსკაიამ (პაპავაძე), რომელსაც ჰქონდა კ. მარჯანიშვილთან ერთად მოსკოვში საკუთარი „თავისუფალი თეატრი“, რუსთაველის თეატრს შესწირა ფარდა, დახატული ცნობილ რუსი მხატვრებისაგან, რომელიც შეადგენს ძვირფას საჩუქარს. ქ-ნ სუხადოლსკაიას აგრეთვე განზრახვა აქვს ქართულ თეატრს კიდევ ბევრი რამ უძღვნას, რის შესახებაც კიდეც აცნობა განათლების სახალხო კომისარს.

— **სახელმწიფო ოპერა.** დღეს, შაბათს 9 დეკემბერს—ფაუსტი და ვალპურგიის ღამე. მონ. ექსანიშვილი, ლევიცკი, საბინინი, კრიჟანოვსკი და სხვ.

— **მეორე სახელმწიფო კონსერვატორია.** მეორე სახ. კონსერვატორიაში მოწაფეთა რიცხვი არის 825. ამათგან ვაჟი 209, ქალი 616. ეროვნების მიხედვით—ქართველი—426. სომეხი—230, რუსი—122, ებრაელი—30, გერმანელი—5, პოლონელი—5, ოსი—3, ფრანგი—2, აბხაზი—1 და ბერძენი—1.

დღეს თეატრებში.

სახ. ოპერა—„ურიის ქალი“, პეტლიაშ ბარილიოტის, გაბაშიძის, აგრანოვსკის, ისეცკის და სხვ. მონაწილეობით. რუსთაველის თეატრი—„ცხვრის წყარო“, ახალი თეატრი—„ქალების ჰპრიკანობა“, სახალხო სახლი—რუსული დრამა „უდანაშაულოთ დასჯილნი“, მუშათა ცენტ. კლუბი—რუსული დრამა „რიასა“, კონსერვატორია—სმირნოვ-სოკოლსკის საღამო, კინო მინიონი—„ბნელეთის სიბოროტე“. ლ. ტოლსტოისა, კინო-არტისტი—„ტარზანის ქალიშვილი“ პირველი სერია, კინო-სოლეილი—„ბუბის ტუზი“ მეოთხე სერია, კინო-ზერკალნი—„ბოში ქალის შურის-ძიება“, კინო-კამერნი—„სიყვარული თილისმა“, კინო-პალას—„ტარზანის ქალიშვილი“ პირ. სერია, კინო-აპოლო—„თეთრი ღმერთი“, კინო-ალკრე—„ყვითელი ეშმაკის შაიკა“, ცირკი—მრავალ მხრივ საინტერესო პროგრამა, ფრანგული ჭიდაობით.

მუშათა ცხოვრება

მუშათა და მოსამსახურეთა საყურადღებოდ
შრომის ექსპლოატატორების გასამართლება

პროფ. კავშირების საბჭოს დიდ დარბაზში (მუშათა სასახლე, რუსთაველის პროს. № 17, შესავალი ბარიათინის ქ.).

ხვალ, **კვირას, 10 დეკემბერს, დილის 10 საათზე** გაირჩევა საქმეები შრომის დაცვის კანონის დარღვევისათვის პასუხისგებაში მიცემულ მწარმოებლების.

საქმეს გაარჩევს სახალხო სასამართლოს განსაკუთრებული სესია. შესვლა თავისუფალია.

ამხანაგო მუშებო, დაესწარით და უყურეთ, თუ როგორ ასამართლებს საბჭოთა ხელისუფლება შრომის კანონების დამრღვევლებს და მუშების ექსპლოატატორებს.

ხე-ტყის მასალის გადამამუშავებელი სახელოსნო

სახელოსნო იმყოფება უმაღლეს სამეურნეო საბჭოს გამგებლობაში. ჩვენ სახელოსნოს განაგებს სატყეო კომიტეტი. სახელოსნოში ამზადებენ სხვა და სხვა საკლასო თუ საოჯახო ნივთებს. სახელოსნოს დიდძალი შეკვეთები მოსდის. მუშა-მოსამსახურეთა რიცხვი უდრის 21. სატყეო კომიტეტთან გვაქვს დადებული კოლექტიური ხელშეკრულება, მაგრამ ხელშეკრულების ზოგიერთი მუხლი ცხოვრებაში არ ტარდება. რამდენი ხანია გვპირდებიან ხალათების დარიგებას, მაგრამ დაპირება დაპირებათ დარჩა და ხალათები დღემდე ვერ მივიღეთ ქარხანაში არ არის სანიტარულ ჰიგიენური პირობები დაცული. სამუშაო ოთახებს არა აქვს სავენტილიაციო ფანჯრები, რის გამო ჰაერი ოთახებში მეტად მძიმეა. შრომის ინსპექციამ რამდენჯერმე მიაქცია ამ გარემოებას ყურადღება, მაგრამ გაფრთხილებამ უშედეგოდ ჩაიარა.

აჭაური

ტრამვაის მუშებში

ამ დარგის მუშები ვიმყოფებით კოლექტიურ ხელშეკრულებაში. ხელშეკრულება მტკიცეთ ტარდება ცხოვრებაში. საზამთროთ სპეც-ტანისამოსები უკვე დაგვირიგეს. ჯამაგირს ყოველთვის თავის დროზე ვიღებთ კულტურულ-განმანათლებელი მუშაობა დღემდე ძლიერ მოიკოჭლებდა. მაგრამ ამ ჟამად უკვე გაცხოველებული კულტურულ-განმანათლებელი მუშაობა სწარმოებს ჩვენ შორის. წერა-კითხვის უცოდინართა ლიკვიდაცია უკვე ბოლო ელება. ტრამვაის წარმოებასთან არსებობს მშვენივრათ მოწყობილი კლუბი, სადაც მოთავსებულია სამკითხველოც. კულტურულ მუშაობის შესაფერ დონეზე დასაყენებლათ არსებობს ცალკე კულტ-იაჩეიკა. მუშებს გვაქვს საკუთარი ამბულატორია. ტრამვაის წარმოებაში დაბანდებულია საკმაოდ დიდძალი მუშა ხელი—816 კაცი.

ტრამვაელი

სასადილო „არტელი“

სასადილო „არტელის“ ბატონ პატრონი სრულებით არ უწევენ ანგარიშს შრომის კანონების დაცვას. ამ მხრივ ისინი თავს არხეინათ გრძნობენ და ამისათვის ჯერ სასჯელი არც შეხვედრიათ.

ჩვენ, მუშებს გვიხდება მრავალი გაჭირვების ატანა. მაგალითად, დამზღვევ კასაში არ შეაქვთ ჩვენი დასაზღვევი ფული, ამის გამო ჩვენ დამზღვევ კასით სარგებლობის უფლებას მოკლებული ვართ.

პირდაპირ აუტანელია ჩვენი მდგომარეობა ავადმყოფობის დროს. იმდენს რას ვღებულობთ, რომ ექიმისა და წამლის ხარჯზე გვეყოს.

არა გვაქვს არც საანგარიშო წიგნები.

ყოველივე ეს უნდა გასწორდეს.

მუშა

თავხედი ხაზეინი

მე ვლაპარაკობ სასადილოს პატრონ მირაქოვზე. ეს ვაჟბატონი ამუშავებს მცირე წლოვანს არა 4 საათ., არამედ 12—14 და კიდევ მეტს. მიუხედავად ასეთი ჯაფისა, მას ჯამაგირს მაინც არ აძლევს. მცირე წლოვანი ბავშვები ვერ სარგებლობენ შრომის დაცვის სხვა კანონებითაც; არაა დაზღვეული, არა აქვს საანგარიშო წიგნაკი და სხვა.

საჭიროა სახალხო გამოკვებითი კავშირმა მეტი სიფხიზლე გამოიჩინოს თავის დარგის მუშების ინტერესების დაცვაში.

მოსამსახურე.

„ოკა“-ს ფეხსაცმელების სახელოსნო.

საზოგადოთ სამხედრო უწყებებში შრომის დაცვის კანონები ძალიან სუსტად არის გატარებული. ისინი ხშირად არ სცნობენ ასეთ კანონებს და სამხედრო დისციპლინით უდგებიან მუშა-მოსამსახურეებს.

„ოკა“-ს აქვს ფეხსაცმელების დასაკერებელი სახელოსნო. სახელოსნოს განაგებს არაქელოვი. არაქელოვს დავიწყებია და ვერ გაუგია, რომ არსებობს შრომის კანონი მცირე წლოვანთა შრომის შესახებ

ის მცირე წლოვანს ამუშავებს ნორმალურ დროზე მეტს. ამუშავებს, მაგრამ არ აძლევს გასამრჯელოს.

შრომის ინსპექტორს მართებს ასეთ სახელოსნოებს ხშირხშირათ ჩამოუაროს და გამგეობას შრომის კანონები ხშირხშირათ მოაგონოს.

მ—ძე.

ტყიბულის რკინის გზის ხაზი

ამ ხაზის მუშა-მოსამსახურეებს გვაწუხებს ის გარემოება, რომ ჩვენს მიმართ არაა დაცული ნორმალური სამუშაო დღის კანონი ჩვენ ვმუშაობთ არა 8 საათს, არამედ 12 და კიდევ მეტს. ზედმეტ საათებში მუშაობის გასამრჯელოს არავინ არ გვაძლევს. კანონით კი გვერგება. ამის შესახებ რამდენჯერმე ავღძარით საქმე, ქუთაისის საკონფლიქტო კომისიამ ჩვენი მხარე დაიკავა, მაგრამ გზის ადმინისტრაციამ საკონფლიქტოდ კომისიის დადგენილებას ანგარიში არ გაუწია. სასურველია რკინის გზელთა ცენტრალური კავშირი ამაზე იზრუნებდეს და ერთხელ და სამუდამოთ გამოარკვევდეს, თუ რა უფლება აქვს მუშათა ორგანიზაციებს რკინის გზაზე და რა უფლება ადმინისტრაციას.

რ—ელი.

პროვინციაში

ბორჯომი

28 ნოემბერს 1922 წ. მუშათა უბანში (ჩარხის წყალზე) გაიხსნა საზოგადო კრება მუშა-მოსამსახურეებისა.

კრებას დაესწრნენ თითქმის ყველა ქარხნის მუშები და მოსამსახურენი.

მიზანი კრებისა იყო, გაეცნოთ მუშებისათვის, მიზეზი ჯამაგირების თავის დროზე მიუცემლობისა.

პირველ საკითხის შესახებ ინფორმაციული მოხსენება გააკეთა ამხ. კ. კანდელაკმა (მამულის მმართველი).

მოხსენების დამთავრებისას დამსწრეთ ეუწყათ, რომ კრებას დაესწრებიან ცენტრიდან ჩამოსული ამხანაგები ს. თოდრია და თ. კალანდაძე.

მოსულ ამხანაგებს კრებამ გაუმართა ხანგრძლივი ოვაცია. შემდეგ, თანახმად ადგილობრივი პასუხისმგებელი ამხ. თხოვნისა ამხ. თედორე კალანდაძემ გააკეთა მოხსენება „საბჭოთა რესპუბლიკების საერთაშორისო მდგომარეობის შესახებ“.

მომხსენებელმა ვრცლად გააცნო დამსწრე ამხანაგებს დღემდის მიღწეულ შედეგებს მუშათა კლასის მიერ საბჭოთა რესპუბლიკების ფედერაციაში, როგორც პოლიტიკურ, აგრეთვე ეკონომიურ ფრონტზე.

ამხ. კალანდაძე კრიტიკას ქარცეცხლში ატარებს მენშევიკების საქმიანობას, როგორც რუსეთის, ისე ამიერ-კავკასიის და აგრეთვე საერთაშორისო მასშტაბით 2 და 2 ნახ. ინტერნაციონალის კრიტიკით.

მომხსენებელი ამბობს, რომ მენშევიკურ პარტიამ კონტრ-რევოლიუციონურ საქმიანობით „დათვური სამსახური გაუწია თავიანთ თავსო“ და დღეს ყოველივე ცოტა ოდნად შეგნებული მუშის და გლეხისათვის ცხადი არის ის, რომ მენშევიკური პარტია არის მუშათა კლასის ინტერესების გამყიდველი.

შემდეგ მომხსენებელი ვრცლად ეხება ამიერ-კავკასიის ფედერაციის მნიშვნელობას ამიერ-კავკასიის ფარგლებში არსებულ საბჭოთა რესპუბლიკების განმტკიცების საქმეში, იმპერიალისტური ომის მიერ განადგურებულ ტრანსპორტის და მეურნეობის აღორძინების აუცილებლობას.

მოხსენების შემდეგ იქნა მიღებული შესაფერი რეზოლიუცია.

საერთოდ უნდა აღინიშნოს ის, რომ ამხ. თ. კალანდაძეს მოხსენებამ დიდი შთაბეჭდილება მოახდინა დამსწრე ამხანაგებზე.

საჭირო არის ჩვენმა ცენტრალურმა ორგანოებმა მეტი ყურადღება მიაქციონ პერიფერიებს და ხშირად იგზავნებოდეს ხოლმე მომხსენებელი ამხანაგები.

ანდრო ცახის უბნელი.

წერილი რედაქციის მიმართ

დღემდის მე ვირიცხებოდი საქართველოს მემარცხენე სოციალისტ ფედერალისტთა სარევოლიუციო პარტიის წევრად. დღეის რიცხვიდან გამოვდივარ ამ პარტიიდან.

სტუდენტი ხამონ დეკანოზიშვილი.

5 დეკემბერი 1922 წელი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

პარტიული და საბჭოთა კალენდარი

პარტიული

— შაბათს, საღამოს 5 საათზე, ქალაქის საბჭოს სათათბირო დარბაზში გაიმართება ქ. თბილისის მუშა-ქალთა დელეგატების საერთო საქალაქო კრება დღის წესრიგში სდგას შემდეგი საკითხები:

1. საერთაშორისო კომუნისტური მუშათა მოძრაობა—ამხ. გოლუბიევას მოხსენება.
2. ვენერიული ავადმყოფობანი და ბრძოლა მასთან—მომხსენებელია ექიმი **მორინი.**
3. მიმდინარე საქმეები.

ვსთხოვთ ყველა მუშა ქალებს, რომელთაც ეს საკითხები აინტერესებს დაესწრონ აღნიშნულ კრებას.

— **ტფილისის კომიტეტის ქალთა განყოფილების სხდომა.** ტფილისის კომიტეტის ქალთა განყოფილების კოლეგიის სხდომა, მოწვეულ იქნება საჭიროების და მიხედვით. შემდეგი ამხანაგების შემადგენლობით: ტფილისის კომიტეტის ქალთა განყოფილების გამგე, მისი მოადგილე, ცენტრალურ კომიტეტის ქალთა განყოფილების წარმომადგენელი, ტფილისის კომიტეტის საორგანიზაციო და საგიტ. და პროპაგანდო განყოფილების, ახალგაზრდათა კომკავშირის ტფილისის კომიტეტის წარმომადგენლები და ამხ. ალექსანდროვა.

ტფილისის კომიტეტის ქალთა განყოფილების პლენუმის სხდომა გაიმართება ყოველ კვირაში შაბათობით დილის 9 საათიდან, შემდეგი ამხანაგების შემადგენლობით: ტფილისის კომიტ. ქალთა განყოფილების კოლეგიის წევრები, რაიონების ქალთა განყოფილებების გამგეები.

ქალთა განყოფილების
გამგე **დალნაია.**

— 2-ე რაიონის ქალთა შორის მუშაობის საწარმოებლად საქ. კომპარტ. ტფ. კომიტეტის ქალთა განყოფილება აგზავნის აქ ლიუბა კობახიძეს. ხსენებულმა ამხანაგმა უნდა მიმართოს ცნობების და დირექტივების მისაღებად 2-ე რაიონის ქალთა განყოფილების გამგეს ამხ. **ლითზნიანსკიას.**

ტფილისის კომ. ქალთა განყოფილების გამგე **დალნაია.**

— საგიტაციო საპროპაგანდო განყოფილებასთან არსებულ ა. ესენის მარქსისტულ წრეს (რუსულ ენაზე) თავისი მეცადინეობა გადააქვს პარტიის მეორე რაიკომის ბინაზე (მიხაილოვის და კიროჩნი ქუჩების კუთხე).

სამეცადინოდ რჩება წინანდელი დღეები—ორშაბათი საღამოს 6 საათი.

საქ. კომ. პარტიის ტფ. კომიტეტის საგიტაციო-საპროპაგანდო განყოფილება.

— ის სტუდენტები, პარტიის წევრები, რომლებიც მიმაგრებულნი არიან სამხედრო იაჩეიკებზე, და რომლებიც ამ იაჩეიკაში მუშაობის შესახებ წარმოადგენენ თავიანთ მოწმობებს თბილისის კომიტეტის აღმრიცხავ-სტატისტიკურ ქვე-განყოფილებაში, მიიღებენ უკანვე აღნიშნულ მოწმობებს, რომელზედაც აღნიშნული იქნება, რომ მათზე არ ვრცელდება პარტიის გაწმენდა.

პროფესიონალური

— ქალაქის მილიციის გაწმენდის მეოთხე რაიონული კომისია იტყობინება, რომ ის იწყებს მუშაობას. გაწმენდის პირველ დღეთ გამოცხადებულია 7 დეკემბერი, ხუთშაბათი (ქალაქის აღმასკომის დარბაზში). გაწმენდა ვრცელდება მესამე და მეოთხე კომისარიატის მოსამსახურეების და თანამშრომლების კომ. შემადგენლობაზე. მასალები უნდა წარდგენილ იქნეს გაწმენდის რაიონულ კომისიაში, ამ მისამართით: რუსთაველის პროსპ. № 22, მესამე სართული.

მილიციის გაწმენდის რაიონული კომისია.

— სამშაბათს 12 დეკემბერს საღ. 5 საათზე მუშათა სასახლის ოთახში № 36 დანიშნულია მეორედ განათლების მუშაკთა კავშირის მარტოხელა (ოდინოჩკები) საზოგადო კრება წევრთა გასაწმენდათ. მარტოხელებთან ერთად გაიწმინდებიან აგრეთვე განსაკუთრებული კომისიის ანბანის მასწავლებლები უცოდინარობის სალიკვიდაციოთ.

დასწრება სავალდებულოა.

ვინც არ დაესწრება, მექანიკურად გამოირიცხება კავშირიდან.

— სამშაბათს, 11 დეკემბერს, საღამოს 6 საათზე, საქ. პროფკავშირთა საბჭოს დიდ დარბაზში შესდგება კავშირთა ცენტრალურ გამგეობის წევრთა მონაწილეობით საქ. პროფკავშირთა საბჭოსი

პლენუმი.

დღის წესრიგი:

1. კურორტების შესახებ,
2. უმ. სამ. საბჭ. მოხსენება,
3. მუშათა მთლიანი კოოპერატივის საპაიო კომპანიის შესახებ.
4. მიმდინარე საკითხები.

განსახილველათ დანიშნულ საკითხების მნიშვნელობის გამო საქ. პროფკავშირთა საბჭოს პლენუმის და კავშირების ცენტრალურ გამგეობების წევრთა დასწრება სავალდებულოა.

საქ. პროფკავშირთა საბჭ. მდივანი
გუგუშვილი.

განცხადებები

რუსთაველის თეატრი

შაბათს, 9 დეკემბერს

ცხვრის წყარო

დადგმა კ. მარჯანიშვილისა. დასაწყისი სრულ 8 საათზე.

(კრ. 686—3—3)

სახელმ. აკადემ. თეატრი ოპერა.

კასსა ღიაა 11—3 ს. და საღამ. 6 წარმოდგენის დამთავრებამდე

დღეს, 9 დეკემბერს

ურიის ქალი

დასაწყისი სრულ 8 საათზე

მე-3 ზარის შემდეგ დარბაზში შესვლა აკრძალულია.

(კრ. 685—1—1)

1923 წლის 25 იანვარს ქ. ჭიათურაში, ადგილობრივ თეატრის დარბაზში, დილის 11 საათზე შესდგება ჭიათურის შავი-ქვის მრეწველთა სააქციო საზოგადოების აქციონერთა არა ჩვეულებრივი

საზოგადო კრება

განსახილველი საკითხები:

1. წესდების ზოგიერთ მუხლების შეცვლა.
1. მიმდინარე საკითხები.

გამგეობის თავმჯდომარე ის. ხოფ. გარაზაშვილი.
გამგეობის მდივანი ი. ზერეჟიანი.

(632—3—2)

საქართველოს სოციალისტურ რესპუბლიკის მუშათა და გლეხთა მილიციის გამწმენდი ცენტრალური კომისია ამით აცხადებს მოქალაქეთა საყურადღებოთ, რომ

წმენდა ქალაქის მილიციის სამმართველოს თანამშრომელთა და სისხლის სამართლის მილიციის, დანიშნულია კვირას, 10 დეკემბერს დილის 10 საათიდან, შემდეგ დღეებში კი საღამოს 5 საათიდან.

ყველა მსურველთ შეუძლიან დაესწრონ წმენდას. ბრალდებები და ცნობები მილიციელთა შესახებ მიიღება ყოველ დღე ცენტრალურ გამწმენდ კომისიაში; მისამართი: შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატი, ოთახი № 13 ტელ 17—11.

ცენტრალური გამწმენდი კომისია.

1—1—698

„არკოს"-ის

წარმომადგენლობა ამიერ-კავკასიაში

ამით აცნობებს სახელმწიფო, კოოპერატიულ დაწესებულებებს და ტრესტებს, და აგრეთვე აბრეშუმის მწარმოებლებს, რომ მან მიიღო საზღვარგარეთიდან დიდი რაოდენობით მაღალი ხარისხის აბრეშუმის თესლი: ფრანგული გრენაჟის (თეთრი) და წმინდა ფრანგული ჯიშის (ყვითელი).

„არკოს"-ის კანტორა: ტფილისი, რუსთაველის პროსპ № 38. დღის 9—3 საათამდე. (615—3—2)

ელექტრონის, რენტგენის და სინათლის

სამკურნალო

საწოლი ოთახებით

დაარსებული

მიხეილ გედევანიშვილის მიერ

განაგრძობს ავადმყოფების მიღებას.

თბილისი, ყორღანოვის ქუჩა № 20, ტელ. 7—91.

804—25—19)

ქალ. თბილისის აღმასრულებელი კომიტეტის სამმართველოს განყოფილება

ამით აცხადებს, რომ თბილისის ქალ. მ. გ მილიციის თანამშრომელთათვის

საჭიროა ფრიად სასწრაფოდ

დამზადდეს

700 ცალი ნაბდის ქურქები, აგრეთვე 700 წყვილი „ბოტინკები"

ვისაც შეუძლია 700 ცალი ქურქისათვის საჭირო რაოდენობის კარგი ხარისხის ნაბდისა და 700 წყვილი ფეხსაცმელის მოწოდება, ვსთხოვთ გამოცხადდეს სამმართველოს განყოფილებაში—ლ. დუმბაძის ყოფ. ველიამინოვის ქ. № 7 და თან წარმოადგინოს შესაფერი ნიმუშები ნაბდისა და „ბოტინკებისა".

თბილისის აღმასკომის სამმართველოს განყოფილება.

კრ. 699 3—1

ჯანმრთელობის სახალხო კომისარიატის

საფარმაცევტო განყოფილება

პასკევიჩის ქუჩიდან

გადავიდა

კავკასიის ამხანაგობის სააფთიაქო საქონლის საწყობის ბინაზე.

(ევანგულოვის და ბროსეს ქუჩ. კუთხე).

(8—2)

ჯ. ს. კ. საფარმაცევტო განყოფილების

აფთიაქის მაღაზია

თავისუფლების მოედანი (ერევნის მ.)

მიღებულია დიდი რაოდენობით საფრანგეთის პარფიუმერია და კოსმეტიკა

საუკეთესო ფირმებისა

რუსული პარფიუმერია ბროკარი, რალე, სიუ

და სხვა.

სამკურნალო საჭიროების საგნები.

ფოტოგრაფიული ნივთები და მასალები

ახალი

ნორვეგიული თევზის ზეთი.

(კრ. 637—5—5)

ღრმად დამწუხრებულნი გუგული ნიკოლოზის ასული ლომინაძისა, საშა, ბესარიონი (რაშინი) სადიკო, სიო, გრიშა, ჯაბა იოსების ძენი ლომინაძეები მეუღლეებითურთ და პაშა იოსების ასული ლომინაძე აუწყებენ ნაცნობთ და ნათესავთ

იოსებ ალმასხანის ძე ლომინაძის

გარდაცვალებას 7 ამა დეკემბერს

პირველის მეუღლის, მხოლოდ დანარჩენების მამის. პანაშვიდი ყოველ დღე საღამოს ხუთ საათზე ქ. ქუთაისში ბალახვანის ქ. საკუთარი სახლი.

დაკრძალვა სამშაბათს 12 ამა დეკემბერს. მიცვალებულის ბინიდან გამოტანა ნაშუადღევის ოთხ საათზე. 635 2—1

უმ. სამეურნეო საბჭოს სახელმწიფო ღვინის

ტრესტი

ავჭალის ამხ. ლენინის სახელობის შუშეულობის ქარხანა

დაიწყო მუშაობა

და ამზადებს ნახევრად თეთრი მინიდან სხვა და სხვა

ფორმის

ბოთლებს.

არის დამზადებული ბოთლები:

1/40—კონიაკის და არაყის;
1/20—კონიაკის;
1/100—1/200 სამონოპოლიო არაყის

მიიღება შეკვეთა ხარისხოვან ჭურჭლეულობაზე

შეკვეთები მიიღება უმ. ს. ს. სახელმწიფო ღვინის ტრესტში სასახლის ქ. № 6.

(691—5—2)

საკონსულტაციო

სამკურნალო კაბინეთი ბავშვთა ექიმების:

მედიცინის დოქტორის

ვ. ვ. შენგელიძის და ექიმი ქალის **გ. დ. ხანცინის**

ბავშვების მიღება ყოველ დღე (გარდა კვირისა) 1—3 საათამდი დღ ძუძუმწოვარ ბავშვების კონსულტაცია ოთხშაბათობით და შაბათობით დღის 1—3 საათამდე. ყოველგვარი გამოკვლევანი. კრუზენშტეინის ქ. № 1, გოლოვინსკის კუთხე. ტელეფ. № 18—14. (517—25—24)

დოქტორი **გ. მეგრაბიანცი**

„უ. ასისტენტი ბერლინის უნივერსიტეტის კლინიკებისა"

შინაგანი და ვენერიული ავათმყოფობისა. რენტგენის სინათლის—ელექტრონის წამლობის კაბინეთი.

იღებს 9—12 ს. დღის და 5—7 ს. საღ.

ბებუთოვის ქუჩა № 23. 634 25—1

ქ. თბილისის 1 რაიონის სახალხო მოსამართლე იწვევს სასამართლოში კონსტანტინე ნიკოლოზის-ძე კლოპოტოვსკის, როგორც მოპასუხეს ოლღა დიონისის ასული კლოპოტოვსკთან განქორწინების შესახებ და აფრთხილებს მას რომ თუ ის ორი თვის განმავლობაში დღიდან ამის გამოქვეყნებისა არ გამოცხადდება დანიშნულ იქნება საქმე და გამოტანილი დაუსწრებელი დადგენილება.

1 რაიონის სახალხო სასამართლო იმყოფება სასამართლოს ქუჩაზე № 32. 638—1—1

ღვინის-სპირტის-კონიაკის სახელმწიფო

ტრესტი

ს. ს. ს. რ. სახალხო მეურ. უმაღლეს საბჭოს სახელმწიფო ღვინის ტრესტი

გამგეობა: ტფილისი, სასახლის ქ. № 6. ტელ. 16—52.

სახელმწიფო ღვინის ტრესტი აწვდის ყველას განუსაზღვრელად და დიდი რაოდენობით ნაწარმოებს მისი საკუთარი ქარხნების:

ქარხანა № 1. ყოფ. დ. ზ. სარაჯიშვილის—ლენინის ქ. № 30.
ქარხანა № 2. ყოფ. ამხ. „არგო" სი—ნიკოლოზის მოედ. № 13.
ქარხანა № 3. ყოფ. დ. ე. კალანდაძის—ვაგზლის ქ. № 5.
ქარხანა № 4. ყოფ. სოგომონოვის—გომი, გორის მაზრა.
ქარხანა № 5. ყოფ. პროტცერის—სოფ. აბასთუმანი, ზუგდიდის მაზრა.
ქარხანა № 6. ყოფ. სიხარულიძის—კამოს ქუჩა № 68.
ქარხანა № 7. ყოფ. ავჭალის შუშ. ქარ. ლენინის სახელობის—ქვემო ავჭალა.

ღვინის ტრესტის განკარგულებაში იმყოფება აგრეთვე ლაბორატორია ყოფ. ვილარეტისა.

ავჭალის შუშეულობის ქარხანა ამზადებს ყველანაირ შუშეულობას. მაგალითად: ბოთლები—კონიაკის, არაყის, ლუდის; ჭიქები—ჩაის, ღვინის, არაყის, ლუდის—სხვა და სხვა ფირმის; ნალბაქები—ჩაის. ხარძეგი გრაფინები; ბანკები—მურაბისათვის; ბანკები—თაფლისათვის.

„მეიდინგერის" ელემენტების ნაწილები

მილები—წყლის საზომი; მილები—ნავთის საზომი. აფთიაქის შუშები. ლამფის შუშები—სხვა და სხვა ზომის, კრუჟკები, მაზის შუშები და შუშეულობის სხვა და სხვა ნაწილები.

დაკვეთები მიიღება როგორც გამგეობაში, ისე ქარხანაში—ავჭალა.

ტრესტის არაყის გამოსახდელი და სარექტიფიკაციო ქარხნების ნაწარმოები

1. სპირტი რექტიფიკ. 95—96 გრ. (პურის და ჭაჭის)
2. არაყი პურის და ჭაჭის.
3. კონიაკები ყოფ. სარაჯევის ფირმის
" " " O. C.
" " " 4*
" " " 3*

4. კონიაკები ყოფ. „არგოს"-ი
" " " ფინ შამპან.
" " " 4* 3 ასოთი
" " " 3* 3 ასოთი.

იძლევა რა გარანტიას თავის ნაწარმოების მაღალ ღირსებაში, რომელსაც ქარხნის ეტიკეტებისა და სპეციალური იარლიყების გარდა აქვთ სახელმწიფოს ღერბი, სახელმწიფო ღვინის ტრესტი სდევნის ასეთების სიყალბეში და ფალსიფიკაციაში შემჩნეულებს.

სპირტის და მაგარი სასმელების გატანა საბჭოთა საქართველოს საზღვრებიდან ხდება მხოლოდ სახელმწიფო ღვინის ტრესტის ნებართვით.

სახელმწიფო ღვინის ტრესტი შეუდგა **პორთვეინის** და **შამპანიურის** დამზადებას.

კრახმალის ქარხანა, რომელიც ახლო მომავალში მოეწყობა (№ 6 ქარხანასთან) გამოუშვებს ბაზარზე საკუთარი წარმოების კრახმალს და დექსტრინს.

ქარხანა № 6 მომავალში გამოუშვებს ბაზარზე **ლუდს** და **ხელოვნურ ყინულს**, ხოლო ყოფ. ვილარეტის ლაბორატორია—მთავარ პრეპარატებს.

გამგეობა.

(კრ. 692—0—1)

ტირაჟი 10,000 ნ. ს. დ. ფ.

საქართველოს სახალხო მეურნეობის უმაღლეს საბჭოს პოლიგრაფიულ განყოფილების მე-2 სტამბა კრუზენშტეინის ქ. № 4.